სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 3 აგვისტო 2001 №145 (1418) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 რავანელიმდე ქინქლაძემ გაიტანა

ქეცბაიამ მგლებს გაატანინა

5 რაიან გიგზმა 90 წუთში მილიონი გირვანქა იშოვა

როცა ბრიტანეთში ფეხბურთელის პატივისცემა სურთ, ჯიბეში ხელის ჩაყოფას არ იზარებენ

ლაციომდე არაფერი მეტკინოთ!

ალესანდრო ნესტა ორჯერ სტუმრობდა საქართველოს და მესამედ ჩამოსვლის შანსიც ჰქონდა. თუ იმ ორი ვიზიტისას თბილისში, საქართველო — იტალიის მატჩებისას გააგორა ბურთი ჩვენს „ეროვნულზე“, ამჯერად ქუთაისის მონახულება შეეძლო, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ამაში დამნაშავე კი საქართველოს ორგზის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედოა“, რომელმაც ნესტა, მენდიეტა და სხვა ლაციოელები კოპენჰაგენისკენ გაახედა.

ღმერთმა ხელი მოუმართოს რომის „ლაციოს“ და მის კაპიტანს, თუ მოისურვა, ქუთაისში ჩასვლა არ გაუჭირდება, ჩვენ კი ჩვენი ვიკითხოთ.

უპირველესად ის ვთქვათ, რომ კლუბთა სამი ევროტურნირიდან ქართული გუნდებისთვის ორი უკვე უსახელოდ დასრულდა.

ჯერ იყო და, თბილისურმა „ვიტ ჯორჯიამ“ ინტერტოტოს თასის გათამაშების პირველ წრეში ავსტრიული „რიდის“ დამარცხების მერე ფრანგულ „ტრუასთან“ შეირცხვინა თავი. გუშინწინ კი ქუთაისის „ტორპედომ“ დანიურ „კოპენჰაგენს“ ვერაფერი დააკლო და ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ვერ გააღწია. არადა, რომ ევარგა, სწორედ ზემოთ ნახსენებ „ლაციოსთან“ დაიჭერდა საქმეს. ცხადია, ძოძუაშვილის გუნდს რომაელთა დამარცხების იოტისოდენა შანსიც არ ექნებოდა, მაგრამ სამაგიეროდ, ქართველი ქომაგი ძვირადღირებულ და დიდ ფეხბურთს ნაზიარებ ვარსკვლავებს ცოცხლად იხილავდა. ასე თუ ისე, ჩვენი საქმე იქითკენ მიდის, ჯერ მხოლოდ ლინფილდებით და კოპენჰაგენებით უნდა დავკმაყოფილდეთ, „ლაციო“ და მისთანები დიდი ფუფუნებაა.

ერთი სიტყვით, ინტერტოტომ და ლიგამ წლეულსაც კარი მოგვიხურა. ახლა ჯერი უეფას თასზე და „დინამო“-„ლოკომოტივზეა“.

„დინამოს“ მეტოქედ ბელარუსული „ბატე“, რკინიგზელებს კი მალტური „ბირკირკარა“ ერგოთ. 9 აგვისტომდე ერთი კვირა კია დარჩენილი, მაგრამ საამატჩებოდ გუნდების მსგავსად თადარიგი ჩვენც დავიჭიროთ, მით უფრო, წილისყრის დასრულებისთანავე დინამოელები „ბატეს“ სიძლიერეზე ალაპარაკდნენ.

დღეს ბელარუსები გავიცნოთ და მერე მალტელებზეც ვილაპარაკოთ.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

ოსანა მძლეს!

როცა ამდენი ფულია, რაღადროს სიყვარულია

Edmonton 2001

დღეს კანადურ ედმონტონში წლის მთავარი სამძლეოსნო შეჯიბრი, მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და 12 აგვისტომდე გასტანს. სპორტის დედოფლის მსახურები 9-დღიან ბატალიებში გაარკვევენ უძლიერესთა ვინაობას. შემადგენლობა სრულია, მცირე გამონაკლისთა გარდა პლანეტის ყველა ელიტარული ათლეტი უკვე ალბერტას პროვინციის დედაქალაქშია და გულმოდგინედ ემზადება. სპეციალისტთა ვარაუდით, ჩემპიონატზე რამდენიმე მსოფლიოს რეკორდის დამხობაა მოსალოდნელი.

იხილეთ მეცხრე გვერდი

მთელი მსოფლიო სტარტზეა, ცალკე მაყურებელ-გულშემატკივრები, ცალკე სპორტსმენები, რომელთაგან ისეთი გამორჩეულნი, მარიონ ჯონსი რომაა, უეჭველია, მსოფლიოს რეკორდზე ფიქრობენ

უეფას თასი 2001-02. საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

დინამო — ბატე

მინსკი. „ეროვნული“. ტევადობა 70 900. 9 აგვისტო

ქარხნის გუნდი დიდი ამბიციებით

ალექსანდრ ფედოროვიჩი

ქართული კლუბებიდან ყველაზე ძლიერი გუნდი ევროტურნირებზე ჩვენ შეგვხვდაო — დაიჩივლეს დინამოელებმა და ვერც შეედავება კაცი.

ბელარუსული ფეხბურთი პროგრესის გზაზეა. ყოველ შემთხვევაში, ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მეხუთე შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზეა, პოლონეთს ხუთი ქულით კი ჩამორჩება, მაგრამ უკან მოიტოვა უკრაინა, უელსი, ნორვეგია და სომხეთი. ბელარუსი ლეგიონერების — შტანიუკის, გურენკოს, ბელკევიჩისა და ხაცკევიჩის სახელებიც ღღეს უკვე არავისთვისაა უცხო.

ბორისოვის „ბატედან“ ეროვნულ გუნდში ჯერ ვერავინ მოიკიდა ფეხი, თუმც კანდიდატები მრავლად არიან. ბორისოვი ინდუსტრიული ქალაქია, მინსკთან ახლოს მდებარეობს და მანქანით დაახლოებით ერთი საათის სავალზეა. ბორისოვის ქარხანა „ბატე“ (□□□□ აბრევიატურა გახლავთ) მანქანა-დანადგარების ფართო სპექტრის საქონელს უშვებს და ამავე სახელწოდების კლუბის მთავარი სპონსორიც გახლავთ. საფეხბურთო კლუბ „ბატეს“ ქალაქის ბიუჯეტიც აფინანსებს.

ბელარუსის მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში „ბატემ“ ბოლოს გუშინწინ, მე-14 ტურის მატჩი ითამაშა და შინ წაგო მინსკის „დინამოსთან“ 1:3. თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ სტუმრებმა ამის მერე თამაში შეატრიალეს და „ბატემაც“ მოულოდნელი მარცხი იწვნია. სახელოვანი მინსკის „დინამო“ ახლა მე-5 ადგილზეა, ხოლო „ბატე“, წაგების მიუხედავად, მაინც ინარჩუნებს ლიდერობას — 10 მოგება, 2 ფრე და 2 წაგება — ასეთია „ბატეს“ მონაგარი. ბომბარდირთა დავაში ბორისოველთა ფორვარდი ვიტალი კუტუზოვი ლიდერობს 12 გოლით. ის 8 საგოლე პასითაც დაიკვეხნის.

ქვემოთ „ბატეს“ ისტორიას, მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს გაგაცნობთ, რომლებთაც ყველაზე ხშირად უწევთ ძირითად შემადგენლობაში თამაში.

ისტორია

1970 წელი — „ბატეს“ დებიუტი ბელარუსის ჩემპიონატში

1974 — ბელარუსის ჩემპიონი

1976 — ბელარუსის ჩემპიონი და თასის მფლობელი

1979 — ბელარუსის ჩემპიონი

1981 — „ბატეს“ საფეხბურთო კლუბმა არსებობა შეწყვიტა

1996 — ქალაქის ხელმძღვანელობის და ქარხანა „ბატეს“ დირექტორ ნიკოლაი ბუსელის (ის ბელარუსის პარლამენტის წევრიცაა) ძალისხმევით ხელმეორედ შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ბატე“

1997 — „ბატემ“ ბელარუსის ეროვნული ჩემპიონატის მეორე ლიგაში მეორე ადგილი დაიკავა და უმაღლეს ლიგაში აღზევდა.

1998 — ბელარუსის ვიცე-ჩემპიონი

1999 — ბელარუსის ჩემპიონი

2000 — ბელარუსის ვიცე-ჩემპიონი

საფეხბურთო კლუბი ბორისოვის „ბატე“ 2001

მთავარი მწვრთნელი: **იური პუნტუსი,** 41 წლის. იყო სპორტის ოსტატობის კანდიდატი, თამაშობდა საბჭოთა ბელარუსის ჩემპიონატში. „ბატეს“ მთავარი მწვრთნელია 1996 წლის აპრილიდან. გუნდი გადაიყვანა უმაღლეს ლიგაში, ორჯერ ვიცე-ჩემპიონი გახადა, ერთხელ ოქროს მედლებიც მოაპოვებინა. 1999 წლის ნოემბრიდან ბელარუსის ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელობასაც ითავსებს.

უფროსი მწვრთნელი: **იური პუდიშევი,** 47 წლის. თამაშობდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში, მოსკოვის „დინამოში“ (1972-75, 1984-86) და მინსკის „დინამოში“ (1976-84). საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში ჩაატარა 276 მატჩი, გაიტანა 21 გოლი. 1982 წელს გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მომდევნო სეზონში კი ბრინჯაოს დასჯერდა. უთამაშია საბჭოთა კავშირის ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებებში.

1994 წლიდან მინსკის „დინამოს“ მწვრთნელის თანაშემწე იყო, „ბატეშია“ 1991 წლიდან. 1999 წლის დეკემბრიდან 2000 წლის ივლისამდე ბელარუსის ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა.

მეკარე: ალექსანდრ ფედოროვიჩი, 27.09.1973. გუნდის კაპიტანი, „ბატეშია“ 1996 წლიდან. იყო ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

მცველები

ვლადიმერ ნევინსკი, 24.09.1973. „ბატეშია“ 1997 წლიდან, არის მარცხენა მცველი, გუნდში შეუცვლელი მოთამაშეა. ნათამაშევი აქვს საბჭოთა კავშირის მეორე ლიგაში. ბელარუსის ჩემპიონატში ჩაატარა 225 მატჩი, გაიტანა 39 გოლი.

ვიტალი როგოჟკინი, 21.01.1976. „ბატეშია“ 1999 წლიდან. თამაშობს დაცვის ცენტრში და ფლანგებზეც. მიიჩნევენ ეროვნული ნაკრების კანდიდატად.

ვიტალი პანასიუკი, 9.02.1980. „ბატეშია“ 2000 წლიდან. ბელარუსის ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

გენადი მარდასი, 12.06.1970. „ბატეში“ 2000 წლიდან. თამაშობს ლიბეროს პოზიციაზე. გუნდის ვიცე-კაპიტანი.

იგორ კვიატკოვსკი, 25.10.1979. „ბატეშია“ 1997 წლიდან. გამოირჩევა თავით კარგი თამაშით.

ნახევარმცველები

ალექსანდრ ერმაკოვიჩი, 21.01.1975. „ბატეშია“ 1998 წლიდან. ამჟლუა — საყრდენი.

ალექსანდრ ლისოვსკი, 29.04.1975. „ბატეშია“ 1998 წლიდან. ბელარუსის ეროვნულ ნაკრებში ითამაშა 2 მატჩი, 1996 წლის შემდეგ აღარ მიუწვევიათ, თუმც ახლა კანდიდატად მიიჩნევენ. თამაშობს მარცხენა ფლანგზე.

ლეონიდ ლაგუნი, 22.06.1978. „ბატეშია“ 1997 წლიდან. უნივერსალური ფეხბურთელია, თუმც შესაძლოა თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ ვერ ითამაშოს — სამი დღის წინ ხელი მოაწერა კონტრაქტს მოსკოვის „ტორპედოსთან“.

ევგენი ლოშანკოვი, 02.01.1979. „ბატეშია“ 1997 წლიდან. ბელარუსის ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

ალექსეი ბაგა, 4.02.1981. „ბატეშია“ 1998 წლიდან. შეუძლია დაცვაშიც ითამაშოს, პერსონალურ მეურვეობას კარგად ართმევს თავს. ბელარუსის ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

ალექსანდრ ტერენტიევი, 4.09.1981. „ბატეშია“ 1999 წლიდან. ბელარუსის ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

თავდამსხმელები

ვიაჩესლავ გრიგოროვი, 8.03.1982, „ბატეშია“ 2000 წლიდან. 19-წლამდელთა ნაკრების კაპიტანია, თამაშობს ახალგაზრდულ ნაკრებშიც.

პაველ ბეგანსკი, 9.01.1981. „ბატეშია“ 2001 წლიდან. ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

ვიტალი კუტუზოვი, 20.03.1980, „ბატეშია“ 1998 წლიდან. ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი, სადაც 19 მატჩი ჩაატარა და 6 გოლი გაიტანა. ბელარუსის წინა ეროვნულ ჩემპიონატში ბომბარდირთა დავაში მეორე იყო 18 გოლით, ხოლო შარშანწინ 19 გოლი გაიტანა და მაშინაც მეორეობას დასჯერდა.

კუტუზოვს ბელარუსის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ, თუმც ეროვნულ ნაკრებში ჯერ არ მიუწვევიათ. მიუხედავად ამისა, მის შეძენას რამდენიმე ევროპული კლუბი ცდილობს, მაგრამ „ბატეს“ ხელმძღვანელობა და თვით ფეხბურთელი ჯერ არ ჩქარობენ. კუტუზოვის „მუშა“ ფეხი მარჯვენაა. ის ერთობ ორიგინალური დრიბლიორია, პასიც მშვენივრად ეხერხება, სწრაფია და ყოველთვის გოლის გატანაზეა დაგეშილი. კუტუზოვი ინდივიდუალისტია და ამავე დროს, კომბინაციური სტილის ფეხბურთელიც. კუტუზოვი კიდევ იმითაა საინტერესო, რომ ხშირადაა მხილებული სიმულაციაში, რასაც ოსტატურად აკეთებს.

დავით თამგარეთელაძე



დინამოელები ალექსანდრ ლისოვსკისაც (მარჯვნივ) უნდა უფრთხოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ქინქლაძემ პირველი საკონტროლო გოლი გაიტანა

რავანელიმდე ქინქლაძემ გაიტანა, ქეცბაიამ მგლებს გაატანინა

როგორც იქნა გადაწყდა, რომ თბილისელ „დერბი ქაუნთიში“ ითამაშებს. იტალიელის დებიუტი ხვალ, მორიგ საწვრთნელ შეხვედრაშია დაგეგმილი, მანამდე კი გიო ქინქლაძის გუნდი „სვინდონ თაუნს“ ესტუმრა და მორიგი სეზონის გოლებს სათავე დაუდო. ეს სწორედ ჩვენებურმა მოახერხა, როცა 39-ე წუთზე მარჯვნიდან დაბალი დარტყმით გახსნა ანგარიში. შემდეგ გიოს ორი ეშმაკური პასით თანაგუნდელებმა ვერ იხეირეს, სამაგიეროდ, მასპინძლებმა გამოიყენეს იშვიათი შანსი და მატჩიც ფრედ 1:1 დამთავრდა, ქინქლაძე კი 79-ე წუთზე ჯექსონმა შეცვალა.

„ვულვერჰემპტონის“ ორ ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშა თემურ ქეცბაიამ და არცთუ ურიგოდ. მესამედივიზიონელ „შრუსბერი თაუნთან“ 2:0 მოგებულ მატჩში საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა მოედანზე პირველი 45 წუთი დაჰყო და ორივე გოლში დაიდო წვლილი. ორი დღის მერე კი „მგლები“ 150 ფანთან ერთად ბელგიას ჩავიდნენ და იქაურ „ანტვერპენთან“ 2:2 ითამაშეს. ქეცბაიამ 68-ე წუთზე ბრანჩი შეცვალა.

კვლავ არ გამოჩენილა მოედანზე რატი ალექსიძე, რომლის „ჩელსიმაც“ ქვედალიგელი „ნორთჰემპტონი“ არ დაინდო და სტუმრად 7:1 გაანადგურა. ლონდონელებთაგან გოლები მელხიოტმა, სტანჩმა, ჰასელბაინკმა (2), ლამპარდმა (2) და გუდიონსენმა გაიტანეს.

გიგა ძოგაზიძე

ვამოიწერეთ
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!

ბინაზე ჟურნალით 1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.

98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97

ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!

„პრეს-მოგილი“

ფინეთი

XXIII ტური
ჯაზი 1:1 ატლანტისი
იოკერიტი 1:0 ინტერი
ტამპერე 2:1 ვაასა

ლაციოამდე არაფერი გეტკინოთ!

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

მეორე საკვალიფიკაციო ტატაპი. საპასუხო მატჩი

კოპენჰაგენი 3:1 ტორპედო

1876

კოპენჰაგენი. „პარკენი". 14 345 მაყურებელი. 1 აგვისტო. 22 საათი

1:0 ზუმა (45), 2:0 ლინსტრუპი (59), 3:0 ფერნანდესი (74), 3:1 ქუთათელაძე (90)

კოპენჰაგენი:	ტორპედო:
კილსტეტი, რიტერი, მადსენი, პოულსენი, იენსენი, ლარსენი, ზუმა (პრედგაარდი 70), ფერნანდესი, ტორნინგერი (კრისტიანსენი 82), ლაურსენი, ლინსტრუპი (ბისგაარდი 61)	გვარამაძე, იონანიძე, მახვილაძე, თიდუა, ქემოკლიძე, ამვეთია, აბრამიძე, ახალკაცი (ქუთათელაძე 58), ასათიანი (გონჩაროვი 36), აკოფიანი, ბარამონოვი (გვირჯიშვილი 68)
სათადარიგონი: პედერსენი; ტური, სვენსონი, ნილსენი	სათადარიგონი: სტურუა; ბაბუნაშვილი, ბოროშინი, გ. შენგელია
მწვრთნელი: კენტ კარლსონი	მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

მსაჯები: პ. ლარიბიანი; ფ. ლარო, კ. ჯოფე; ფ. ბლოშინი (ყველა საფრანგეთი)

დამთავრდა ჩვენთვის სალიგო ციებ-ცხელება. დამთავრდა ოფიციალურად, თორემ მოსახდენს აქამდეც შეგუებულნი ვიყავით. „ტორპედო" რომ დანიური „კოპენჰაგენის" წამქცევი არ იყო, ეს „ლინფილდთან" საპასუხო, უსახურმა მატჩმაც გამოაჩინა.

„ჩვენთვის მთავარი შემდეგ ეტაპზე გასვლაა, სხვა მე და „ტორპედოს" ხელმძღვანელობას არაფერი გვაინტერესებს. „კოპენჰაგენს" უნდა მოვუგოთ. დანარჩენი მწვრთნელებმა იციან" — ეს სიტყვები „სარბიელს" მატჩის წინა დღეს ქუთაისური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა შედან ნანიკაშვილმა უთხრა, რაც, გუნდის რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ცოტა ხმამაღალ ნათქვამად გვეჩვენა, მაგრამ კაცია და გუნება, ხელმძღვანელი იმისაა, გარკვეული მოთხოვნის შესრულება ითხოვოს. ნანიკაშვილის სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, „ტორპედოს" მესვეურებს მთავარი მწვრთნელის ეიმედებოდათ — „დანარჩენი ძოძუაშვილმა იცის"...

და რა იცოდა ძოძუაშვილმა ოთხშაბათს საღამოს „პარკენზე"? მხოლოდ და მხოლოდ ის, თუ როგორ არ გაეშვა მის გუნდს გოლი ტაიმის ბოლო წუთამდე.

„ტორპედოს" დაცვაში რიგიან გარჯას ჩვენი დანიელი კოლეგებიც აღნიშნავენ. „კოპენჰაგენმა" დებიუტშივე დიდი იერიში მიიტანა მეტოქის კართან. ზუმას, ლაურსენს და მადსენს ანგარიშის გახსნის შესაძლებლობები ჰქონდათ, მაგრამ ქუთათურთა ექვსკაციანი დაცვა საიმედოდ იდგა. იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ სტუმართა ნახევარზე დამკვიდრებულ დანიელებს ქართველები ერთ-ორ გამოხტომას მოუწყობდნენ — ამგვარი სიტუაციისთვის ზედგამოჭრილი ტაქტიკაა. სტუმრად თამაშისას, როდესაც გუნდს ჰაერივით სჭირდება მინიმუმ ერთი გოლი, საკუთარ ნახევარზე იტყუებს მეტოქეს და ეფექტური კონტრშეტევების ხარჯზე ცდილობს სარგებლის ნახვას. ძოძუაშვილის გუნდმა ამგვარი ტაქტიკური მონახაზის პირველი პუნქტი კი დაიცვა, მაგრამ მეორეს და უმთავრესს ვერაფრით მოაბა თავი. ანუ ქართველები მხოლოდ თავს იცავდნენ და პატარა ჩხვლეტებითაც კი არ აწუხებდნენ მეტოქეს. ჰო და, რაღა გასაკვირია, რომ დაცვაში საქმემოლეულმა და მთლიანად შეტევაზე დაგეშილმა მასპინძლებმა ბოლოს და ბოლოს შეძლეს მეტოქის გატეხვა. ზუმას ასისტენტობა ლონსტრუპმა გაუწია და ამ გუნდების პირველი მატჩის მსგავსად, კვლავაც აფრიკელმა გახსნა ანგარიში.

დანიელები არ ამბობენ, რომ „ტორპედო" ნირწამხდარი დაბრუნდა მოედანზე შესვენებიდან. მართალია, „კოპენჰაგენი" ისევ დიდი ძალებით უტევდა, მაგრამ სტუმრები პანიკაში არ ჩავარდნილან. ათი წუთის ინტერვალში ქართველებმა ზუმას, ფერნანდესს და ტორნინგერს არ დაანებეს გატანა, მერე კი ერთი-ორჯერ თავადაც გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე და თამაშიც გარკვეულწილად დაიძაბა. ქუთათურთა ერთი გოლი ხომ ფაქტობრივად ყველაფერს ცვლიდა და დანიელები ცოტათი განერვიულდნენ კიდეც, თუმც ამას ლონსტრუპისთვის ხელი არ შეუშლია, როცა ფერნანდეს-ზუმას ორსვლიან კომბინაციას მეორე გოლი მიაყოლა.

ინტრიგაც აქ მორჩა. დანიელებისთვის მატჩის სასურველი შედეგით დასრულება უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენდა. კენტ კარლსონმა მალე ზუმა შეცვალა პრედგაარდით და ამით კიდევ ერთხელ დაიდო ქუთაისელთა ცოდვა, სწორედ პრედგაარდის პასით გაუტანა ფერნანდესმა გვარამაძეს მესამე გოლი.

ქუთათელაძის ნაგვიანევი გოლი ბევრს არაფერს წყვეტდა, თუმც რატომ, ისიც კარგია, მშრალი ანგარიშით რომ არ შერცხვა ჩვენი ჩემპიონი. სტუმართა გოლს თავისებური, გარკვეულწილად კანონზომიერი ახსნა მოუძებნა „კოპენჰაგენის" თავკაცმა კენტ კარლსონმა — „ვფიქრობ, ტაქტიკურად ჩვენ უფრო დისციპლინირებულნი ვიყავით. ასევე უკეთ, ორგანიზებულად ვირჯებოდით, თუმც ცოტათი მოვდუნდით მესამე გოლის მერე, მას შემდეგ, როცა ჩვენი შემდეგ ეტაპზე გასვლა გაირკვა".

აშკარად ირონიულია ერთ-ერთი დანიელი მიმომხილველის შეფასება, — „ტორპედოს" ბევრი არაფერი გამოსვლია, მაგრამ შესანიშნავად ითამაშა დაცვაშიო. ჩვენ კი დავძენთ, რომ დაცვაში შესანიშნავად მოთამაშე გუნდი „კოპენჰაგენთან" სამ გოლს არ უნდა უშვებდეს და, რაც მთავარია, ასეთს „ლაციოსთან" შეხვედრის, ანუ შემდეგ ეტაპზე გასვლის ილუზია არ უნდა ჰქონდეს.

პაატა ძვანტალიანი

ტორპედოელი ახალკაცი და კოპენჰაგენელი იენსენი

სიბუსისო ზუმამ (№10) „ტორპედოს" კოპენჰაგენშიც გაუტანა

ქართული კლუბები ჩემპიონთა ლიგაში

1993–1994
წინასწარი წრე

18 აგვისტო
- დინამო (თბილისი) 2
- ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 1

შ. არველაძე, ინალიშვილი

25 აგვისტო
- ლინფილდი 1
- დინამო 1

შ. არველაძე

„დინამოს" დისკვალიფიკაციის გამო შემდეგ ეტაპზე „ლინფილდი" გავიდა.

1997–1998
პირველი შესარჩევი წრე

23 ივლისი
- პრუზეიდერსი (ჩრდ. ირლანდია) 1
- დინამო (თბილისი) 3

კიკნაძე, გოგიჩაიშვილი, მუჯირი

30 ივლისი
- დინამო 5
- პრუზეიდერსი 1

იაშვილი (2), მუჯირი (2), ხომერიკი

მეორე შესარჩევი წრე

13 აგვისტო
- ლევერკუზენი (გერმანია) 6
- დინამო 1

იაშვილი

27 აგვისტო
- დინამო 1
- ლევერკუზენი 0

მუჯირი

1998–1999
პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

22 ივლისი
- დინამო (თბილისი) 3
- ვლაჭნია (ალბანეთი) 0

(ტექნიკური მოგება)

29 ივლისი
- ვლაჭნია 3
- დინამო 1

აშვეთია

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

12 აგვისტო
- დინამო (თბილისი) 2
- ბილბაო (სპანეთი) 1

ხომერიკი, ცქიტიშვილი

19 აგვისტო
- ბილბაო 1
- დინამო 0

1999–2000
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

28 ივლისი
- დინამო (თბილისი) 2
- ზალბრუ (ბელგია) 1

ნიტაიშვილი, ხომერიკი

4 აგვისტო
- ზალბრუ 2
- დინამო 0

2000–2001
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

26 ივლისი
- ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 4
- ტორპედო (ქუთაისი) 0

3 აგვისტო
- ტორპედო 2
- ცრვენა ზვეზდა 0

იმედაძე, ჯანაშია

2001–2002
პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

11 ივლისი
- ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 0
- ტორპედო (ქუთაისი) 0

18 ივლისი
- ტორპედო 1
- ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 0

აშვეთია

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

25 ივლისი
- ტორპედო (ქუთაისი) 1
- კოპენჰაგენი (დანია) 1

აშვეთია

1 აგვისტო
- კოპენჰაგენი 3
- ტორპედო 1

ქუთათელაძე

ბაბრი ჯეფლაძის ფოტო

ჩემპიონთა ლიგაში ქართველთაგან ყველაზე მეტი, ოთხი გოლი დავით მუჯირმა გაიტანა

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. მეორე მატჩი

31 ივლისი

ლუგანო (შვეიცარია) 2:1 **შახტარი** (დონეცკი, უკრაინა) (0:3)
აგბოგა (12), გასპარი (54), როსი (67)
გაძეფებები: როტა (ლუგანო 90), ნდიაიე (შახტიორი 90)

1 აგვისტო

მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 4:0 **ჰაკა** (ვალეტა, მალტა) (1:0)
1:0 როსი (40), 2:0, 3:0, 4:0 კატანი (55, 77, 90)

შერიფი (ტირასპოლი, მოლდოვა) 1:2 **ანდერლეხტი** (ბრიუსელი, ბელგია) (0:4)
1:0 ბორეი (3), 1:1 იაშუკი (28 პ.), 1:2 დე ბუკი (60)

ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია) 0:0 (5:4პენ.) **ფერენცვაროში** (ბუდაპეშტი, უნგრეთი) (0:0)

ჰალმსტადი (შვედეთი) 2:0 **ბოჰემიანსი** (დუბლინი, ირლანდია) (2:1)
1:0 იონსენი (56), 2:0 სელაკოვიჩი (65)

ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია) 2:1 **ომონია** (ნიკოზია, კვიპროსი) (1:1)
1:0 ლერნიჩი (15), 1:1 პანაიოტუ (71), 2:1 ანიმოვიჩი (78)

ბრანი (ბერგენი, ნორვეგია) 1:1 **ლევსკი** (სოფია, ბულგარეთი) (0:0)
0:1 ივანოვი (5), 1:1 ვალტინი (16)

ვლაზნია (შკოდერი, ალბანეთი) 1:4 **გალათასარაი** (სტამბოლი, თურქეთი) (0:2)
1:0 სინანი (32), 1:1 ქარანი (37), 1:2 შაში (48), 1:3 არიფი (67), 1:4 ერკანი (80)

ბარი თაუნი (უელსი) 3:1 **პორტუ** (პორტუგალია) (0:8)
0:1 დიასი (17), 1:1 ფილიპსი (37), 2:1 რაიანი (38), 3:1 ლოიდი (90 პ.)

სლოგა (სკოპიე, მაკედონია) 1:2 **სტიაუა** (ბუქარესტი, რუმინეთი) (0:3)
0:1 ფალემი (16), 0:2 რადუჩანუ (41), 1:2 ნიხიოკი (87)

ვისლა (კრაკოვი, პოლონეთი) 1:0 **სპონტო** (რიგა, ლატვია) (2:1)
1:0 ფურაკსკი (86)

ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) 1:0 **სლავია** (მოზირი, ბელარუსი) (1:0)
1:0 ლემბაკოვალი (72)

გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) 3:1 **მარიბორი** (სლოვენია) (3:0)
0:1 სტარჩევიჩი (17), 1:1 ფლო (54), 2:1, 3:1 კანიჯა (58, 73)

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

კოპენჰაგენი (დანია) — **ლაციო** (იტალია)
გალათასარაი (თურქეთი) — **ლევსკი** (ბულგარეთი)
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — **ლევერკუზენი** (გერმანია)
აიაქსი (ჰოლანდია) — **სელტიკი** (შოტლანდია)
შახტარი (უკრაინა)— **დორტმუნდი** (გერმანია)
ვისლა (პოლონეთი) — **ბარსელონა** (ესპანეთი)
ჰალმსტადი (შვედეთი) — **ანდერლეხტი** (ბელგია)
პორტუ (პორტუგალია)— **ბრასჰოპერი** (შვეიცარია)
ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) — **ტიროლი** (ავსტრია)
გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) — **ფენერბაჰჩე** (თურქეთი)
ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) — **რუსენბორგი** (ნორვეგია)
სლავია (პრაღა, ჩეხეთი) — **პანათინაიკოსი** (საბერძნეთი)
პარმა (იტალია) — **ლილი** (საფრანგეთი)
სტიაუა (რუმინეთი)— **დინამო** (კიევი, უკრაინა)
მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — **ლივერპული** (ინგლისი)
ჰაიდუკი (ხორვატია) — **მალიორკა** (ესპანეთი)

პირველი მატჩები 7-8 აგვისტოს, საპასუხოები — 21-22 აგვისტოს

ასტონ ვილა — რენი. ინგლისელმა ლი ჰენდრიმ ფრანგ კირილ შაპუის ბურთი ფეხიდან ააცალა

AP ბირმინგემიდან

რა დროს ივანიშვიჩია!

ერთნაირი ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგას აიაქსელი, მოსკოვის ლოკომოტიველი და სპარტაკელი ქართველებიღა შემორჩნენ, უფრო სწორად, მათ პირველი გამოცდა ჯერ არ ჩაუბარებიათ. სხვა „ქართული“ გუნდები უკვე ჩამოსცილდნენ ამ ტურნირს. ოთხშაბათს კარი გაიჯახუნეს ვაჟა თარხნიშვილის „შერიფმა“ და რეზვიაშვილის, კორლალიძის, ჩალაძის, კვარაცხელიასა და მენთეშაშვილის „სკონტომ“. მათ გზას დაადგა ქუთაისის „ტორპედოც“.

მაგრამ ქართველთა გავარდნით ჩემპიონთა ლიგა არ მთავრდება. პირიქითაა — ნაღდი ლიგა პატარა „ქართული“ და ქართული გუნდების გავარდნის მერე იწყება.

შინ შერცხვენის მერე ორიოდ სეზონის წინანდელმა აღმოჩენამ, „მარიბორმა“ წახდენილი საქმის გამოსწორება გლაზგოში სცადა და „რეინჯერსისთვის“ პირველი გოლის გატანით აიბროქსელი ფანობა ოდნავ დააღონა. ოდნავ, რადგანაც სქოთური კლუბის საბოლოო გამარჯვებაში არც მათ შეპარვიათ ეჭვი და არც ფეხბურთელებს. ამასთანავე, რეინჯერსელებმა შემდეგ ეტაპზე შინ წაგებული მატჩით გასვლა არ ისურვეს და ლუბლიანაში გატანილ სამს გლაზგოშიც ერთი ამდენი დაუმატეს. აღსანიშნავია, რომ ტორე ანდრე ფლოს ერთ გაქვითულს ორი კლაუდიო კანიჯამ დაუმატა, რომელიც სულ ახლახან გიორგი ნემსაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის თანაგუნდელი იყო.

შოტლანდიელთაგან განსხვავებით, პორტუგალიელებმა საშინაო გამარჯვება იკმარეს. „პორტუ“ საპასუხო მატჩში აღარ შეარცხვინა უელსური „ბარი თაუნი“ და ძალა „გრასჰოპერისთვის“ შეინახა, რომელსაც მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ხვდება. ისე, მთლად უკმაყოფილო არც მოკრძალებული უელსური გუნდი უნდა იყოს, რადგან მართალია, საერთო ჯამში ცხრა ბურთი გაუშვა, მაგრამ „პორტუს“ მაინც გაუტანა. მეტის პრეტენზია „ბარი თაუნს“ არც უნდა ჰქონოდა.

მაგრამ სად „ბარი თაუნი“ — „პორტუს“ დაძაბულობა და სად „ჰაიდუკი“ — „ფერენცვაროშისა“. მათმა 210-წუთიანმა უგოლო პაექრობამ ჯერ ბუდაპეშტში და მერე სპლიტში ხალხი გვარიანად ანერვიულა. გვახსენდება, რომ სპლიტელები იძახდნენ, საპასუხო მატჩში ჩვენს სახელოვან ჩოგბურთელ გორან ივანიშევიჩსაც ვათამაშებთო, მაგრამ „ფერენცვაროში“ ისეთი კერკეტი კაკალი ზამოდგა, წლევანდელი უიმბლდონის მომგების მოედანზე გაყვანა დიდი სისულელე იქნებოდა.

სლოგა — სტიაუა. მასპინძელი ზორან ჯოვანოვსკი სტუმარ სორინ პარაჩივს ფეხზე დააჯდა

REUTERS სკოპიედან

სპლიტში გუნდები ფრთხილობდნენ. რაკი შეიძლებოდა, ერთი შეცდომაც საბედისწერო გამხდარიყო, თუმცა რამდენიმე ისეთი ეპიზოდიც იყო, მაყურებელი გულგრილი ვერ დარჩებოდა.

მეტოქეებმა თითოჯერ გაარტყეს ძელს, ასევე თითოჯერ პირისპირ გასულებმა მეკარეთა საიმედოობა შეამოწმეს, ერთი გოლი არ ჩაითვალა და მცირედი გაწევ-გამოწევაც მოხდა. საბოლოოდ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ხორვატებმა ერთი პენალტი გააფუჭეს, უნგრელებმა კი — ორი.

სპლიტური ჩხუბის მიუხედავად, ყველაზე უხეში თამაში „ბრანი“ — „ლევსკი“ გამოდგა, რომელშიც ხუთმა ბულგარელმა და სამმა ნორვეგიელმა ფეხბურთელმა ყვითელი ბარათები მიიღეს. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „გალათასარაისთან“ შეხვედრის უფლება კი ბულგარელებს გეორგი ივანოვის უკვე მეხუთე წუთზე გატანილმა გოლმა მოუტანა. მართალია, მასპინძლებმა მალევე შეძლეს გათანაბრება, მაგრამ ის წესი ამოქმედდა, რომელიც მეტოქის მოედანზე გატანილ გოლს უპირატესობას ანიჭებს.

„პორტუსი“ არ იყოს, „ანდერლეხტმაც“ პირველ მატჩში მოითავა საქმე და „რეინჯერსის“ მსგავსად, საპასუხოში უმნიშვნელო ანგარიშით დამარცხება არ ისურვა. ბელგიელთა გარჯა მით უფრო დასაფასებელია, რომ თამაშის წინა დღეს ვარჯიშზე დაიმტვრა მათი რუმინელი ლეგიონერი ალინ სტოიკა.

„შერიფმა“ სწრაფი გოლის გატანა მოახერხა, თუმცა სტუმრებმა მატჩის სადავეები მალევე ჩაიგდეს ხელთ და ოლეგ იაშჩუკმა პენალტით გაათანაბრა. ისიც აღვნიშნოთ, რომ ეს პენალტი ვალტერ ბასეჟიოს ტრავმის ფასად დაჯდა, გამარჯვებისა კი „ანდერლეხტმა“ თავის სტილში — სტანდარტული სიტუაციიდან გაიტანა.

თამაშის მერე „შერიფის“ მწვრთნელმა ვალერი ვასილიევმა თქვა, რა მომენტებიც გვქონდა, ყველა რომ გამოგვეყენებინა, მოვიგებდითო.

გიორგი დარჯანია

იკადრეთ და გიკადრებენ

ასტონ ვილა — რენი. ინგლისელმა ლი ჰენდრიმ ფრანგ კირილ შაპუის ბურთი ფეხიდან ააცალა

AP ბირმინგემიდან

ინტერტოტოს თასი 2001
ნახევარფინალური ეტაპი. საპასუხო მატჩები

ნიუკასლი (ინგლისი) 3:1 მიუნხენ 1860 (გერმანია) (3:2)
ლოზანა (შვეიცარია) 2:2 გაზელი (შვეიცარია) (0:3)
ვოლფსბურგი (გერმანია) 2:2 ტრუა (საფრანგეთი) (0:1)
ბრეშა (იტალია) 2:2 ბლშანი (ჩეხეთი) (2:1)
პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) 7:1 გენტი (ბელგია) (0:0)
ასტონ ვილა (ინგლისი) 1:0 რენი (საფრანგეთი) (1:2)

ფინალური ეტაპი

ნიუკასლი (ინგლისი) — ტრუა (საფრანგეთი)
პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) — ბრეშა (იტალია)
გაზელი (შვეიცარია) — ასტონ ვილა (ინგლისი)

პირველი მატჩი 7 აგვისტოს, საპასუხო — 21 აგვისტოს

უჩვეულო ტურნირია ინტერტოტო. ზოგი დასაშვებ თუ დაუშვებელ ზომებს მიმართავს, ამ შეჯიბრში რომ მოხვდეს. ზოგი კი სულაც უკადრისობს და ან საერთოდ უარს ამბობს, ანაც სათადარიგოებით თამაშობს.

საინტერსოა არა — მეოთხედფინალები, ნახევარფინალები, ბოლოს კი კი ფინალები... აბა, სხვა რომელი საფეხბურთო შეჯიბრია, „ფინალები“ რომ თამაშდებოდეს?

მოკლედ, უახლოეს სამ კვირაში ის სამი გუნდი გაირკვევა, ვინც უეფას თასზე გადაინაცვლებს და იქ შეეცდება თავისი ამბიციის დამტკიცებას. ესეც არის, მავანი საქმეს სერიოზულად მოეკიდება, ეგებ „ნემდვილ ევროპაშიც“ გაძვრეს და მერე ვინ იცის... გახსოვთ 1996 წლის „ბორდო“? თავისი ზიდანითა და ლიზარაზუთი, ინტერტოტოდან დაიწყო და უეფას თასის ფინალამდე მიაღწია, მერე იქ კლინსმანისა და მათუუსის „ბაიერნთან“ დამარცხდა, მაგრამ გმირობა გმირობადვე დარჩა — ტოტოდან გუნდი ფინალში გავიდა.

ახლა წლევანდელი ამბავიც ვნახოთ. ამ ჩვენი „ვიტ ჯორჯიას“ გამომგდები „ტრუა“ „ფინალებში“ „ნიუკასლს“ ხვდება. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს პატარა ფრანგული გუნდი ამდენს მიაღწევდა. პირველი მატჩი ხომ გერმანულ „ვოლფსბურგს“ 1:0 მოუგო და საპასუხოშიც მხოლოდ 29 წუთს აგებდა იმავე ანგარიშით, მერე ამბონმა გაათანაბრა და ვნებებიც ჩაცხრა. ისე საინტერესო გუნდია „ვოლფსბურგი“. ამათი სახელი ხომ მგლებთან კავშირშია და მწვრთნელიც შესაბამისი ჰყავთ — ვოლფგანგ ვოლფი... მოკლედ საშგლეთია და ეგ არის, მაგრამ „ტრუას“ მაინც ვერაფერი დააკლეს.

ერთი რამ შეგვიძლია ვთქვათ. წლეულს ფრანგული და ინგლისური გუნდები „ინტერტოტოს“ საქმიანად მოეკიდნენ. აი, „ფინალებშიც“ ორი ინგლისური და ორიც ფრანგული გუნდია. „ტრუას“ მეტოქე თემურ ქეცბაიას ყოფილი გუნდი „ნიუკასლია“. ჯორდებს გერმანელ „ლომებს“, „მიუნხენ 1860“-ს მეორე მატჩიც მოუგეს და ახლა უეფაზე მოხვედრის ჩინებული შანსი აქვთ, ბირმინგემის „ასტონ ვილამ“ კი დაბლინის ერთადერთი გოლით ფრანგული რენი დაამარცხა და ერთი კვირის წინ წაგებული 1:2-იც ამგვარად გააქარწყლა.

ვასო გიგიაძის, ტრაპაიძისა და ჩომახიძის „ტავრიას“ დამმარცხებელი „პარი სენ ჟერმენი“ წინა კვირას ბელგიურ გენტში მასპინძლებს უგოლოდ გაეყარა, შინ კი 7:1 გაანადგურა. 63-ე წუთზე, როცა ნიკოლა ანელკამ ანგარიში 6:0 გახადა, თამაში მაიმუნობას დაემსგავსა. ასეთი შერცხვენილი „გენტი“ კარგა ხანია აღარავის უნახავს. თუმც, ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ინტერტოტოს ზოგი უკადრისობს და ზოგიც არა...

სოლომონ გულისაშვილი

„არ მახსოვს, რომელიმე მატჩის წინ ასე მენერვიულა, თუმცა ყველაფერმა დიდებულად ჩაიარა: ტრიბუნებზე ფანტასტიური გარემო იყო, მოედანზე ჯი მართლაც დიდი ბრძოლა გაიმართა“ – თქვა უელსის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ გარემარბმა რაიან გიგზმა.

როგორ მოვიპოვოთ მილიონი ინგლიგელები აგებენ

მანჩესტერი 3:4 სელტიკი

0:1 სატონი (2), 0:2 ლენონი (4), 1:2 ვან ნისტელროი (24), 1:3 ლამბერტი (29), 2:3 ვერონი (64), 2:4 მორავჩიკი (66), 3:4 ვან ნისტელროი (84)

„ტესტიმონიალ მატჩი“ წმინდა ბრიტანული მოვლენაა. ასეთ ამხანაგურ შეხვედრებს საფეხბურთო კლუბები თავისი გამორჩეული მოთამაშის საპატივსაცემოდ მართავენ და მთელ შემოსავალსაც მას ურიცხავენ. თანაც, სულაც არ არის სავალდებულო, ეს გამორჩეული ფეხბურთელი მთლად დაჩაჩანაკდეს, რომ ასეთი პატივი ერგოს. ჰოდა, გუშინწინ „ოლდ ტრეფორდზე“ რაიან გიგზის „იუნაიტედში“ თამაშის 10 წლისთავი აღნიშნეს და მეტოქედ შოტლანდიური „სელტიკი“ იხმეს. ერთგვარ ბრიტანულ სუპერთასს (ორივე გუნდი ხომ თავისი ქვეყნის ჩემპიონია) 66 597 მაყურებელი დაესწრო და მათ მიერ ბილეთებში გადახდილი ფული (მინუს ორგანიზებისთვის გაწეული ხარჯი) მთლიანად გიგზის ანგარიშზე ჩაირიცხა. თანხამ (თან ასეთ შემთხვევაში იუბილარი ბეგარას არ იხდის) ზუსტად მილიონი გირვანქა შეადგინა.

„ოლდ ტრეფორდი“ ლეგენდარული ფრანგის გარეშეც გაივსებოდა, მაგრამ ერიკ კანტონას მანჩესტერში დაბრუნებამ ხალხი მთლად გადარია. 90-იანი წლების გმირი დამთავრებამდე 13 წუთით ადრე გამოჩნდა მოედანზე ჩვეული 7-ნომრიანი მაისურით და სწორედ ამ ფაქტმა გაახსენა დამსწრეთ, რომ მატჩი, პრინციპში, ამხანაგური გახლდათ.



ერიკ კანტონა (მარჯვნივ) „მანჩესტერს“ დაუბრუნდა

რაიან გიგზმა 90 წუთში მილიონი გირვანქა იშოვა

ამხანაგურობის კიდევ ერთი დადასტურება ცოტა ხნით ადრე კიდევ ერთი ნომერი 7-ის, დევიდ ბექემის შეცვლა გახლდათ — წესით, მანჩესტერელთა დღევანდელი კერპი მსაჯს უნდა გაეძევებინა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ალექს ფერგიუსონს ანდო და ამანაც არ დაახანა.

ფიცხელი ბრძოლით მხოლოდ ბექემი როდი გამოირჩეოდა — მოედანზე ისე ირჯებოდნენ, საბედისწერო მატჩი გეგონებოდათ. ანგარიში კი 70-ე წამზევე გაიხსნა, როცა დიდი აგატის პასი ინგლისელმა კრის სატონმა გამოიყენა. ორ წუთში ბარტეზის კარი კიდევ ერთმა ყოფილმა პრემიერლიგელმა, ჩრდილოირლანდიელმა ნილ ლენონმაც აიღო.

მასპინძელთა გოლებს სათავე რუუდ ვან ნისტელროიმ დაუდო, როცა კინი-სქოულზის კომბინაცია ზუსტად დაამთავრა და გლაზგოელთა კარში მდგარი რუსი დმიტრი ხარინი უსაქმოდ დატოვა, თუმცა ხუთ წუთში ორბურთიანი სხვაობა სქოთი პოლ ლამბერტის წყალობით აღსდგა. ტაიმის ბოლომდე სქოულზმა და ლენონმა ერთმანეთზე გაწევა, მაკნამარამ და ბექემმა კი ერთმანეთის დალილავება მოასწრეს.

შესვენების შემდეგ გუნდებმა იმავ ჯიგრით გააგრძელეს შეხვედრა, თუმცა მოედანზე შემცვლელებიც მრავლად გამოჩნდნენ. ამათგან ერთ-ერთმა, სლოვაკმა ლუბომირ მორავჩიკმა, ბარტეზის გაბითურება შორეული საჯარიმოდანაც კი შეძლო, მაგრამ მატჩის ულამაზესი გოლი ორი წუთით ადრე გავიდა — არგენტინელმა ვერონმა ცხრიანი გახია. მერე კანტონაც გამოჩნდა და მისი დაბრუნება კვლავ ვან ნისტელროის ზუსტი დარტყმით აღინიშნა. 13 მილიონ გირვანქად ნაყიდ ჰოლანდიელს ჰეთ თრიქის შესრულება და „იუნაიტედის“ გადარჩენაც შეეძლო, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა.

„დიდებული შეხვედრა გამოვიდა. მართალია, წაგება არასდროს მსიამოვნებს, მაგრამ დღეს მაინც კმაყოფილი დავრჩი, ვინაიდან გიგზიც სათანადოდ დავაფასეთ და მაყურებელთან ერთად განუმეორებელი დღესასწაულიც მოვაწყვეთ. ასეთ ამხანაგურ მატჩს და ასეთ გარემოს მსოფლიოში ვერსად ნახავთ“ — განაცხადა ალექს ფერგიუსონმა.

ამხანაგური მატჩი

დელ ბოსკემ ზიდანი ფაბრეგასზე ცვალა

რეალი 1:0 მონპელიე

1:0 გუტი (33)

რეალი: კასილასი, სალგადო (მინამბრესი 73), რობერტო კარლოსი (კარანკა 73), იერო (ჯერემი 46), ივან კამპო (სოლარი 73), სელადესი (ელგერა 46), კონსეისაო (მაკელელე 46), ფიგუ (სავიო 63), ზიდანი (მუნიტისი 63), გუტი (მაკმანამანი 46), რაული (მორიენტესი 63)

ზინედინ ზიდანი

მადრიდის „რეალი“ შვეიცარიული შეკრებიდან ესპანეთში დაბრუნდა და ალიკანტეში ამხანაგურად გაეჯიბრა საფრანგეთის პირველ დივიზიონში აღზევებულ „მონპელიეს“.

წინა ამხანაგურ მატჩში „ნიონის“ შემარცხვენელმა ესპანურმა გრანდმა (12:1) ამჯერად მეტად უფერულად ითამაშა და ხოსე მარია გუტიერესის ერთადერთი გოლით გაიმარჯვა. აღვნიშნოთ, რომ გუტიმ ექვსი დღის წინათ, „ლოზანას“ წინააღმდეგ მატჩისას, გამარჯვებისა გაიტანა. ის გვაფიქრებინებს, რომ მას კარგი შანსი აქვს ახალ სეზონში ფერნანდო მორიენტესი სასტარტო შემადგენლობიდან ამოაგდოს.

გუტის გარდა აღნიშნავენ ივან კამპოს კარგ თამაშსაც, დანარჩენებმა კი თავი მაინცდამაინც ვერაფრით გამოიჩინეს. მართალია, სეზონისწინა საკონტროლო მატჩების მიზანი სხვა რამაა, მაგრამ „რეალის“ დონის გუნდი ვალდებულია, უფრო კარგად თამაშობდეს.

ჩრდილში იყო მოქცეული ზინედინ ზიდანი, თუმცა ეს ეგებ იმით აიხსნას, რომ ფრანგი მისთვის უჩვეულო ადგილას, თავდასხმაში იყო გამწესებული. ამასთანავე მწვრთნელის დავალებით მატჩის მსვლელობისას მან რაულს და გუტის გაუცვალა ადგილები. აქვე აღვნიშნოთ, რომ ვისენტე დელ ბოსკემ ჯერ 4-2-3-1 ტაქტიკური სქემა ირჩია, მოგვიანებით კი ფეხბურთელები 4-4-2-ზე გააწყო.

წინახაზელებზე უკეთ ირჯებოდა მადრიდელი დაცვა და მათ შორის გამორჩეულად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივან კამპო. დელ ბოსკემ ნახევარდაცვაში კონსეისაო სელადესთან, ხოლო ელგერა მაკელელესთან შეაწყვილა.

გუტის გოლს თუ არ ჩავთვლით, ძალიან მოსაწყენი პირველი ტაიმის და მეორის დასაწყისის შემდეგ მოედანზე სავიოს შეცვლამ თამაში გამოაცოცხლა და მადრიდელთა იერიშებს სიმწვავე შეჰმატა.

ზემოთ ზიდანის უჩვეულო პოზიციაზე თამაში ვახსენეთ და დავუმატოთ, რომ დელ ბოსკემ ჯერემი ნჯიტაპი ცენტრალურ მცველად, აიტორ კარანკა განაპირა ნახევარმცველად, ხოლო სტივ მაკმანამანი თავდასხმის ფლანგზე გაამწესა.

გიორგი დარჯანია

კაცი, რომელმაც პირველად ნახა კიევი

ალექსანდრ ფილიმონოვი, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მოსკოვის „სპარტაკის“ შეუცვლელ მეკარედ რომ ითვლებოდა, უცებ კიევის „დინამოში“ აღმოჩნდა. აღმოჩნდა და ოთხშაბათს ბელგიურ „ბრიუგესთან“ ამხანაგურადაც ითამაშა.

მერე უცრაინელ ჟურნალისტებსაც ელაპარაკა და უთხრა, კიევში მიპატიჟება ჩემთვის მოულოდნელი და სასიამოვნო ამბავია იყო. ბოლოს კი ერთი პატარა საიდუმლოც გათქვა — მსოფლიო მომავლია, მაგრამ კიევში პირველად ვარო.

საქმე კი ასე ყოფილა, „დინამოს“ საპატიო პრეზიდენტ იგორ სურკისსა და მავან სპარტაკელთ ლამის მთელი ღამე უვაჭრიათ და ბოლოს შეთანხმებულან. თურმე რუს მეკარეს იტალიური „ბრეშაც“ ეპატიჟებოდა და ამიტომ „სპარტაკის“ პრეზიდენტ-მთავარი მწვრთნელის ოლეგ რომანცევის დაყბედება არცთუ იოლი ყოფილა, მაგრამ ბოლოს საქმე ორივე გუნდისა და მეკარის სასიკეთოდ გაჩარხულა.

„დინამომ“ „ბრიუგეს“ 3:0 მოუგო, ფილიმონოვმა კი 31-ე ნომრით ითამაშა. მატჩი იქური დროით საღამოს ცხრა საათზე დაიწყო და სტადიონზე დაახლოებით 10 ათასი მაყურებელი შეიკრიბა.

ალექსანდრ ფილიმონოვი

სოლომონ გულისაშვილი

არსენალი 0:1 რომა

0:1 მონტელა (45)

გუშინწინ დამარცხდა ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთი ინგლისელი მონაწილე „არსენალი“. სერია A-ს გამარჯვებულმა „რომამ“ ავსტრიულ შეკრებაზე მყოფ პრემიერლიგის ვიცე-ჩემპიონს ვინჩენცო მონტელას ერთადერთი გოლით აჯობა. ეს ასე მოხდა: ბატისტუტამ სიმენს ბურთი თავზე გადაუგდო და თითქოს გოლიც გადიოდა, მაგრამ ტონი ადამსმა ბოლო მომენტში ბურთი უკუაგდო — ლონდონელთა სამწუხაროდ, საჯარიმოში იმ დროს მხოლოდ მონტელა იმყოფებოდა.

„იტალიის ჩემპიონი მართლაც ძალიან ჩინებული გუნდია და ეს თამაში ჩვენი მცველებისთვის კარგი გამოცდა აღმოჩნდა“ — თქვა არსენ ვენგერმა, ვინც სოლ კემპბელი მხოლოდ პირველი 45 წუთი ათამაშა. ფრანგი მწვრთნელი ასევე კმაყოფილი დარჩა პატრიკ ვიეირას და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის თამაშით.

გიგა კოტახიძე

სოლ კემპბელი და გაბრიელ ბატისტუტა

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1 წთ / 50 თეთრი)

ევროპული ტრანსფერები

ინგლისი

არსენალი: ნელსონ ვივასი (ინტერი, იტალია), შტეფან მალცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დევიდ ნობლი (უოტფორდი); ფრენსის ჯეფერსი (ევერტონი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი), იუნიჩი ინამოტო (გამბა ოსაკა, იაპონია).

ასტონ ვილა: ჯულიან ჯოუჩიმი (ქოვენთრი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი); ჰასან კაჩლული (საუთჰემპტონი), მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), პიტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია), დანი გარსია (ბარსელონა, ესპანეთი).

ბლეკბერნი: ლი ჰარდი (ოლდემი), მაიკლ ბინგემი (მენსფილდი); გორდონ გრეერი (კლაიდბანკი, შოტლანდია), კორადო გრაბი (ტერნანა, იტალია), თუგაი ქერიმოღლუ (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალან მაჰონი (სპორტინგი, პორტუგალია), ნათან ბლეიქი (ქოვენთრი), ჯიმი ტრაორე (ლივერპული).

ბოლტონი: მეთიუ გლენონი (ჰალი), ჯონ ოკენი (ბლეკპული), რობი ელიოტი (ნიუკასლი), მეტ კლარკი (ფულემი); ნიკი საუთჰოლი (ჯილინგემი), ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ჰენრიკ პედერსენი (სილკებორგი, დანია), მეტ კლარკი (ბრედფორდი), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია).

ჩარლტონი: ენდი ჰანტი (თამაში მიატოვა); შონ ბარტლეტი (კეირნი, შეფილდი), ჯეისონ თელი (უიმბლდონი), ლუკ იუნგი (ტოტენჰემი),

ჩელსი: გუსტავო პოიეტი (ტოტენჰემი), დენის უაიზი (ლესტერი), ბერნარ ლამბური (ბასტია, საფრანგეთი), ნილ ბარეტი (პორტსმუთი), კორტნი პიტი (პორტსმუთი), სტივენ ბროდი (საუთენდი), ჯეი რიჩარდსონი (ექსეტერი), სემ პარკინი (ნორთჰემპტონი), რობერტ უოლესტონი (ნორთჰემპტონი), სტიუარტ რედინგტონი (მენსფილდი), ფრანკ ლებეფი (მარსელი, საფრანგეთი); უილიამ გალასი (მარსელი, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ვესტ ჰემი), ემანუელ პეტი (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონ ნითი (ქუინზ პარკი), ბუდეკინ ზენდენი (ბარსელონა, ესპანეთი).

ევერტონი: ფრენსის ჯეფერსი (არსენალი), შონ დოჰერტი (ფულემი); ტომაშ რაძინსკი (ანდერლეხტი, ბელგია), ალან სტაბსი (სელტიკი, შოტლანდია), ფილიპ ჯეკინსი (გრიმსბი), სტივენ ჰუზი (უოტფორდი).

დერბი ქაუნთი: რორი დელაპი (საუთჰემპტონი); რიკარდო მასპერო (ტორინო, იტალია).

ფულემი: საიმონ მორგანი (ბრაიტონი), პოლ პეშისოლიდო (შეფილდ იუნაიტედი); ლუიშ ბოა მორტე (საუთჰემპტონი), აბდელსალიმ უადუ (ნანსი, საფრანგეთი), მეტ კლარკი (ბოლტონი), შონ დოჰერტი (ევერტონი), ედვინ ვან დერ სარი (იუვენტუსი, იტალია).

იფსვიჩი: რიჩარდ რაიტი (არსენალი); პაბლო გონსალეს კუნაგო (სელტა, ესპანეთი), კრის ჰოგი (იორკი), ენდი მარშალი (ნორვიჩი), ტომი მილერი (ჰარტლპული).

ლიდსი: უორენ ფინი (ბორნმუთი), კევინ დიქსონი (ბარნსლი); რობი კინი (ინტერი, იტალია).

ლესტერი: სტიუარტ კემპბელი (გრიმსბი), ლოური დადფილდი (ჰალი); დენის უაიზი (ჩელსი), იან უოქერი (ტოტენჰემი).

ლივერპული: იან არმსტრონგი (პორტვეილი), ჯიმი ტრაორე (ბლეკბერნი), კრისტიან ციგე (ტოტენჰემი); იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი).

მიდლსბრო: ნაილ მედისონი (დარლინგტონი), კრისტიან კარამბუ (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); შილარდ ნემეტი (ინტერი, სლოვაკეთი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), ფრანსუა გრენე (ბორდო, საფრანგეთი).

მანჩესტერ იუნაიტედი: როდრი ჯოუნსი (როტერჰემი), ეშლი დოდი (პორტვეილი), ჯოშ უოქერი (შრიუსბერი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), მარკ უაიტმენი (ბარი); რუუდ ვან ნისტელროი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო, იტალია), როი კეროლი (უიგანი).

ნიუკასლი: დეს ჰამილტონი (კარდიფ სიტი, უელსი), სტივენ გლასი (უოტფორდი); რობი ელიოტი (ბოლტონი), კრეიგ ბელამი (ქოვენთრი), ლორან რობერი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი).

საუთჰემპტონი: ფილ უორნერი (კემბრიჯი), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი), ჰასან კაჩლული (ასტონ ვილა); რორი დელაპი (დერბი ქაუნთი), ანდრეს სვენსონი (ელფსბორგი, შვედეთი), ჯაჩინტო ელა იენი (ესპანიოლი, ესპანეთი).

სანდერლენდი: კარსტენ ფერედგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), მილტონ ნუნიეში (ნასიონალი, ურუგვაი), ნიკოლას მედინა-არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), ბაკი მერჩიმეკი (ჰაარლემი, ჰოლანდია), ლილიან ლასლანდი (ბორდო, საფრანგეთი), დავიდ ბელონი (კანი, საფრანგეთი).

ტოტენჰემი: ნაილ ფინი (პიტერბრო), რამონ ვეგა (სელტიკი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (არსენალი), ლუკ იუნგი (ჩარლტონი); ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), გუსტავო პოიეტი (ჩელსი), შონ ჯალალი (ჰასტინგსი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კრისტიან ციგე (ლივერპული).

ვესტ ჰემი: მარკ კელერი (სტრასბური, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სტიუარტ პირსი (მანჩესტერ სიტი), ტომი უილიამსი (პიტერბრო), სტივ ანგესი (კემბრიჯი), ამოს ფოიევა (ბორნმუთი); სებასტიან შემელი (მეცი, საფრანგეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ანდრეს დალესანდრო (სან ლორენსო, არგენტინა).

ბუდეკინ ზენდენი წუხელ ჩელსელი გახდა

ესპანეთი

ალავესი: ხავი მორენო (მილანი, იტალია), კოზმინ კონტრა (მილანი, იტალია), ივან ტომიჩი (რომა, იტალია), ივან ასკოიტია (რაიო ვალეკანო), დიაგო განანი (სალამანკა); ბოგდან მარა (დინამო, რუმინეთი), ალესანდრო (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), ხოსე ემილიო ამავისკა (რასინგი), ჩომინ ნაგორე (ნუმანსია), ალბერტო სერანო (ესპანიოლი), კარლოს ლორენსი (ატლეტიკო), რუბენ ნავარო (ნუმანსია).

ბეტისი: მინხო (რაიო ვალეკანო), ვაშინგტონ ტაისი (რასინგი).

ბილბაო: იმანოლ ეჩებერია (რაიო ვალეკანო); აიტორ ოკიო (ოსასუნა), ხუან კარლოს სივორი (კორდობა), სესარი (სევილია), ლუის პრიეტო (ეიბარი), ურაკა (ესტრემადურა), დიეგო კარანკა (ესტრემადურა), ხორხე პერესი (ესტრემადურა).

ბარსელონა: ივან დე ლა პენია (ლაციო, იტალია), ემანუელ პეტი (ჩელსი, ინგლისი), სიმაო საბროსა (ბენფიკა, პორტუგალია), დანი გარსია (ასტონ ვილა, ინგლისი), ბუდეკინ ზენდენი (ჩელსი, ინგლისი),; ჯოვანი (კრუზეირო, ბრაზილია), ფაბიო როჩემბაკი (პორტუ ალეგრი, ბრაზილია), ფილიპ კრისტენვალი (მონაკო, საფრანგეთი), პატრიკ ანდერსონი (ბაიერნი, გერმანია), რობერტო ბონანო (რივერ პლეიტი, არგენტინა), ხავიერ სავიოლა (რივერ პლეიტი, არგენტინა).

სალვა ბალესტა აწი „ვალენსიისთვის" გაიტანს

სელტა: პაბლო კუნაგო (იფსვიჩი, ინგლისი), ხუან ხაიო (უნიონ სანტა ფე, არგენტინა), გორან ჯოროვიჩი (დეპორტივო); ოლაისი (პონტევედრა, ბრაზილია), ივან კავიედესი (ვალიადოლიდი), ჯაკობო კამპოსი (კომპოსტელა), ხუან მენა (ხერესი), პაბლო კონტრერასი (რასინგი), ფლორიან მორისი (მარსელი, საფრანგეთი), იერეი ორტეგა (ლას პალმასი).

დეპორტივო: ჟაკ სონგო (მეცი, საფრანგეთი), ტურუ ფლორესი (სპორტინგი, პორტუგალია), სალაჰედინ ბასირი (ლილი საფრანგეთი), პეტერ კოუბა (იაბლონეცი, ჩეხეთი); ექტორ ბერენგელი (სევილია), ხაიმე (რასინგი), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ოსასუნა), ჩანგუი (ელჩე), გაბრიელ შურერი (ლას პალმასი), აბრეუ (სან ლორენსო, არგენტინა), დავიდ პირი (ნუმანსია), მანელი (ნუმანსია), ივან პერესი (ნუმანსია), ენრიკე (ფეროლი), აირა (ფეროლი), გორან ჯოროვიჩი (სელტა), სერხიო გონსალესი (ესპანიოლი).

ესპანიოლი: კრისტობალი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), დიეგო დე ლუკასი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), ალბერტო სერანო (ალავესი), კოსტელ გალკა (ვილიარეალი), ხორდი ლარდინი (ატლეტიკო), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია), ჯაჩინტო ელა იენი (საუთჰემპტონი, ინგლისი), სერხიო გონსალესი (დეპორტივო); ალექს ფერნანდესი (ოსასუნა), დავიდ აგანსო (რეალი), ფრანი (ლეიდა), მანელი (სპორტინგი), ხუან ფრანსისკო პალენსია (კრუს ასული, მექსიკა), კატალინ მუნტიანუ (ატლეტიკო).

ლას პალმასი: ამადორი (ერკულესი), გაბრიელ შურერი (დეპორტივო), მარიო ტურდო (რენი, საფრანგეთი), ანტონიო გიარე (ვილიარეალი), იერეი ორტეგა (სელტა); ფაბიან ტევენე (სევილია), ნეირა (უნიონ ესპანიოლა, ჩილე), სოკორო (ელჩე), კუესადა (უელვა), ვიქტორი (უნივერსიდადი), ალბერტო (უნივერსიდადი), ვეგა (გრანადა), ალექსი (ტენერიფე).

მალაგა: მარტინ რივასი (ინტერი, იტალია), ფრანსისკო რუფეტე (ვალენსია), გონსალო დე ლოს სანტოსი (ვალენსია); ბოშკო ლეკო (ჰაიდუკი, ხორვატია), დუდა (კადისი), ავუელე კუაე, არიკი (ორივე ჰართს ოფ ოკი, განა), გარსია ხერარდო (ვალენსია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), კარლუშ ლიტუში (ბოავიშტა, პორტუგალია).

მალიორკა: ხოსე კარერასი (ატლეტიკო), არმანდო ალავესი (ატლეტიკო), იოვან სტანკოვიჩი (ატლეტიკო), ხერმან ბურგოსი (ატლეტიკო); ფათიჰ აკიელი (გალათასარაი, თურქეთი), სამუელ ეტოო (რეალი), ხოსემი, ჯოკაი (ორივე ლეიდა), ვისენტე (სპორტინგი).

ოსასუნა: კუკო სიგანდა (თამაში მიატოვა), ალექს ფერნანდესი (ესპანიოლი), ალფონსო ვერა (სევილია), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ყველა დეპორტივო), ანხელი (სევილია), აიტორ ოკიო (ბილბაო), ლორენსი (ატლეტიკო), გარსია ხერარდო (ვალენსია); ჯონ ალოიზი (ქოვენთრი, ინგლისი), პუნიალი, მორალესი (ორივე ლეგანესი), ვილია (ფეროლი), მოა (ლევანტე), ალმუნია (სპადელი), ხერარდო დამიან რივერო (ალმაგრო, არგენტინა), რაფაელ ოლარა (უნივერსიდადი, ჩილე).

რაიო ვალეკანო: გუსტავო ბარტელტი (რომა), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (ვილიარეალი), მინხო (ბეტისი); ივან ასკოიტია (ალავესი), იმანოლ ეჩებერია (ბილბაო), ზოლტან გრანოვი (უიპეშტი, უნგრეთი), მიჩელ II (სევილია), რივერა (ფეროლი), ჩიჩი პერაგონი (ლევანტე), ერიკ რუა (ტრუა, საფრანგეთი).

რეალი: მანუელ სანჩისი (თამაში მიატოვა), დავიდ აგანსო (ესპანიოლი), სამუელ ეტოო (მალიორკა), ესტებან კამბიასო (რივერ პლეიტი, არგენტინა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (ბენფიკა, პორტუგალია), ტოტე (ვალიადოლიდი); როდრიგო ფაბრი (სპორტინგი, პორტუგალია), ედვინ კონგო (ტულუზი, საფრანგეთი), ესტებან კამბიასო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (სოსიედადი), ხულიო ალვარესი (რასინგი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია).

სოსიედადი: ესტებან ფუენტესი (თამაში მიატოვა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (რეალი); ბიორნ ტორე კვარმე (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), ხოსე ბარკერო (ეიბარი), ალდეონდო (კორდობა), იკერ ალვარესი (ბეასანი), იგორ ცვიტანოვიჩი (დინამო, ხორვატია).

სევილია: ექტორ ბერენგელი (დეპორტივო), ფაბიან ტევენე (ლას პალმასი), სესარი (ბილბაო); ალფონსო ვერა (ოსასუნა), ანხელი (ოსასუნა), მარიანო რამონ ტოედტლი (სალამანკა).

ტენერიფე: მისტა, კურო ტორესი (ორივე ვალენსია), ლუის გარსია (ვალიადოლიდი), ალექსი (ლას პალმასი); ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია).

ვალენსია: ზლატკო ზაჰოვიჩი (ბენფიკა, პორტუგალია), დიდიე დეშამპი (მონაკო, საფრანგეთი, მწვრთნელი), გარსია ხერარდო (მალაგა), გაისკა მენდიეტა (ლაციო, იტალია); კარლოს მარჩენა (ბენფიკა, პორტუგალია), მისტა (ტენერიფე), კურო ტორესი (ტენერიფე), ხერარდო (ოსასუნა), ლივერო პარი, დენის სერბანი, ხავი ნავარო (ყველა ელჩე), რუბენ ნავარო, კურო მონტოია (ორივე ნუმანსია), ხისკო (უელვა), ფრანსისკო რუფეტე (მალაგა), გარსია ხერარდო (ოსასუნა), გონსალო დე ლოს სანტოსი (მალაგა), სალვა ბალესტა (ატლეტიკო).

ვალიადოლიდი: ალბერტო, რაული, ხოსე ანტონიო გარსია კალვო (ყველა ატლეტიკო), იან ჰაინცე (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), კვატემოკ ბლანკო (ნეკაქსა, მექსიკა); გასპარი, მარიო (ორივე ატლეტიკო), ლუის გარსია (ტენერიფე), ტოტე (რეალი).

ვილიარეალი: ორიოლ ლოსანო (ლეიდა), კოსტელ გალკა (ესპანიოლი), კეკე მარტინი (სალამანკა), ხავი ვენტა (ფეროლი), ანტონიო გიარე (ლას პალმასი), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (რაიო ვალეკანო).

სარაგოსა: სერგეი გურენკო (რომა, იტალია), ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია); ესკერდინა (პორტუ პორტუგალია), გორან დრულიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), სლობოდან კოჟლინოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ლუჩანო გალეტი (ესტუდიანტესი, არგენტინა).

შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი

ესპანეთის პრიმერადივიზიონი 2001–2002

პრიმერადივიზიონი 26 აგვისტოს დაიწყება. იქამდე კიდევ ბევრი დროა, მაგრამ კალენდრისთვის თვალის გადავლება უინტერესო არ უნდა იყოს. როდის ხვდებიან ერთმანეთს „რეალი“ და „ბარსელონა“? კვლავ ბოლო ტურში ხომ არაა „ბარსელონა“ — „ვალენსია“? მოკლედ, აგერ კალენდარი, დანარჩენ კითხვებზე პასუხს კი სეზონი გაგვცემს.

I ტური, 26 აგვისტო, 2001

მალაგა - ბეტისი
ვალენსია - რეალი
დეპორტივო - ვალიადოლიდი
მალიორკა - ლას პალმასი
სოსიედადი - ბილბაო
ტენერიფე - ალავესი
ოსასუნა - სელტა
რაიო ვალეკანო - ვილიარეალი
სევილია - ბარსელონა
ესპანიოლი - სარაგოსა

II ტური, 9 სექტემბერი

ბეტისი - ესპანიოლი
რეალი - მალაგა
ვალიადოლიდი - ვალენსია
ლას პალმასი - დეპორტივო
ბილბაო - მალიორკა
ალავესი - სოსიედადი
სელტა - ტენერიფე
ვილიარეალი - ოსასუნა
ბარსელონა - რაიო ვალეკანო
სარაგოსა - სევილია

III ტური, 16 სექტემბერი

ბეტისი - რეალი
მალაგა - ვალიადოლიდი
ვალენსია - ლას პალმასი
დეპორტივო - ბილბაო
მალიორკა - ალავესი
სოსიედადი - სელტა
ტენერიფე - ვილიარეალი
ოსასუნა - ბარსელონა
რაიო ვალეკანო - სარაგოსა
ესპანიოლი - სევილია

IV ტური, 23 სექტემბერი

რეალი - ესპანიოლი
ვალიადოლიდი - ბეტისი
ლას პალმასი - მალაგა
ბილბაო - ვალენსია
ალავესი - დეპორტივო
ვილიარეალი - სოსიედადი
ბარსელონა - ტენერიფე
სარაგოსა - ოსასუნა
სევილია - რაიო ვალეკანო
სელტა - მალიორკა

V ტური, 30 სექტემბერი

რეალი - ვალიადოლიდი
ბეტისი - ლას პალმასი
მალაგა - ბილბაო
ვალენსია - ალავესი
დეპორტივო - სელტა
მალიორკა - ვილიარეალი
სოსიედადი - ბარსელონა
ტენერიფე - სარაგოსა
ოსასუნა - სევილია
ესპანიოლი - რაიო ვალეკანო

VI ტური, 3 ოქტომბერი

ვალიადოლიდი - ესპანიოლი
ლას პალმასი - რეალი
ბილბაო - ბეტისი
ალავესი - მალაგა
სელტა - ვალენსია
ვილიარეალი - დეპორტივო
ბარსელონა - მალიორკა
სარაგოსა - სოსიედადი
სევილია - ტენერიფე
რაიო ვალეკანო - ოსასუნა

VII ტური, 7 ოქტომბერი

ვალიადოლიდი - ლას პალმასი
რეალი - ბილბაო
ბეტისი - ალავესი
მალაგა - სელტა
ვალენსია - ვილიარეალი
დეპორტივო - ბარსელონა
მალიორკა - სარაგოსა
სოსიედადი - სევილია
ტენერიფე - რაიო ვალეკანო
ესპანიოლი - ოსასუნა

VIII ტური, 14 ოქტომბერი

ლას პალმასი - ესპანიოლი
ბილბაო - ვალიადოლიდი
ალავესი - რეალი
სელტა - ბეტისი
ვილიარეალი - მალაგა
ბარსელონა - ვალენსია
სარაგოსა - დეპორტივო
სევილია - მალიორკა
რაიო ვალეკანო - სოსიედადი
ოსასუნა - ტენერიფე

IX ტური, 21 ოქტომბერი

ლას პალმასი - ბილბაო
ვალიადოლიდი - ალავესი
რეალი - სელტა
ბეტისი - ვილიარეალი
მალაგა - ბარსელონა
ვალენსია - სარაგოსა
დეპორტივო - სევილია
მალიორკა - რაიო ვალეკანო
სოსიედადი - ოსასუნა
ესპანიოლი - ტენერიფე

X ტური, 28 ოქტომბერი

ბილბაო - ესპანიოლი
ალავესი - ლას პალმასი
სელტა - ვალიადოლიდი
ვილიარეალი - რეალი
ბარსელონა - ბეტისი
სარაგოსა - მალაგა
სევილია - ვალენსია
რაიო ვალეკანო - დეპორტივო
ოსასუნა - მალიორკა
ტენერიფე - სოსიედადი

XI ტური, 04 ნოემბერი

ბილბაო - ალავესი
ლას პალმასი - სელტა
ვალიადოლიდი - ვილიარეალი
რეალი - ბარსელონა
ბეტისი - სარაგოსა
მალაგა - სევილია
ვალენსია - რაიო ვალეკანო
დეპორტივო - ოსასუნა
მალიორკა - ტენერიტე
ესპანიოლი - სოსიედადი

XII ტური, 11 ნოემბერი

ალავესი - ესპანიოლი
სელტა - ბილბაო
ვილიარეალი - ლას პალმასი
ბარსელონა - ვალიადოლიდი
სევილია - ბეტისი
რაიო ვალეკანო - მალაგა
ოსასუნა - ვალენსია
სარაგოსა - რეალი
ტენერიფე - დეპორტივო
სოსიედადი - მალიორკა

XIII ტური, 18 ნოემბერი

ალავესი - სელტა
ბილბაო - ვილიარეალი
ლას პალმასი - ბარსელონა
ვალიადოლიდი - სარაგოსა
რეალი - სევილია
ბეტისი - რაიო ვალეკანო
მალაგა - ოსასუნა
ვალენსია - ტენერიფე
დეპორტივო - სოსიედადი
ესპანიოლი - მალიორკა

XIV ტური, 25 ნოემბერი

სელტა - ესპანიოლი
ვილიარეალი - ალავესი
ბარსელონა - ბილბაო
სარაგოსა - ლას პალმასი
სევილია - ვალიადოლიდი
რაიო ვალეკანო - რეალი
ოსასუნა - ბეტისი
ტენერიფე - მალაგა
სოსიედადი - ვალენსია
მალიორკა - დეპორტივო

XV ტური, 2 დეკემბერი

სელტა - ვილიარეალი
ალავესი - ბარსელონა
ბილბაო - სარაგოსა
ლას პალმასი - სევილია
ვალიადოლიდი - რაიო ვალეკანო
რეალი - ოსასუნა
ბეტისი - ტენერიფე
მალაგა - სოსიედადი
ვალენსია - მალიორკა
ესპანიოლი - დეპორტივო

XVI ტური, 9 დეკემბერი

ვილიარეალი - ესპანიოლი
ბარსელონა - სელტა
სარაგოსა - ალავესი
სევილია - ბილბაო
რაიო ვალეკანო - ლას პალმასი
ოსასუნა - ვალიადოლიდი
ტენერიფე - რეალი
სოსიედადი - ბეტისი
მალიორკა - მალაგა
დეპორტივო - ვალენსია

XVII ტური, 16 დეკემბერი

ვილიარეალი - ბარსელონა
სელტა - სარაგოსა
ალავესი - სევილია
ბილბაო - რაიო ვალეკანო
ლას პალმასი - ოსასუნა
ვალიადოლიდი - ტენერიფე
რეალი - სოსიედადი
ბეტისი - მალიორკა
მალაგა - დეპორტივო
ესპანიოლი - ვალენსია

XVIII ტური, 23 დეკემბერი

ესპანიოლი - ბარსელონა
სარაგოსა - ვილიარეალი
სევილია - სელტა
რაიო ვალეკანო - სელტა
ოსასუნა - ბილბაო
ტენერიფე - ლას პალმასი
სოსიედადი - ვალიადოლიდი
მალიორკა - რეალი
დეპორტივო - ბეტისი
ვალენსია - მალაგა

XIX ტური, 6 იანვარი, 2002

ბარსელონა - სარაგოსა
ვილიარეალი - სევილია
სელტა - რაიო ვალეკანო
ალავესი - ოსასუნა
ბილბაო - ტენერიფე
ლას პალმასი - სოსიედადი
ვალიადოლიდი - მალიორკა
რეალი - დეპორტივო
ბეტისი - ვალენსია
მალაგა - ესპანიოლი

XX ტური, 13 იანვარი

ბეტისი - მალაგა
რეალი - ვალენსია
ვალიადოლიდი - დეპორტივო
ლას პალმასი - მალიორკა
ბილბაო - სოსიედადი
ალავესი - ტენერიფე
სელტა - ოსასუნა
ვილიარეალი - რაიო ვალეკანო
ბარსელონა - სევილია
სარაგოსა - ესპანიოლი

XXI ტური, 20 იანვარი

ესპანიოლი - ბეტისი
მალაგა - რეალი
ვალენსია - ვალიადოლიდი
დეპორტივო - ლას პალმასი
მალიორკა - ბილბაო
სოსიედადი - ალავესი
ტენერიფე - სელტა
ოსასუნა - ვილიარეალი
რაიო ვალეკანო - ბარსელონა
სევილია - სარაგოსა

XXII ტური, 27 იანვარი

რეალი - ბეტისი
ვალიადოლიდი - მალაგა
ლას პალმასი - ვალენსია
ბილბაო - დეპორტივო
ალავესი - მალიორკა
სელტა - სოსიედადი
ვილიარეალი - ტენერიფე
ბარსელონა - ოსასუნა
სარაგოსა - რაიო ვალეკანო
სევილია - ესპანიოლი

XXIII ტური, 3 თებერვალი

ესპანიოლი - რეალი
ბეტისი - ვალიადოლიდი
მალაგა - ლას პალმასი
ვალენსია - ბილბაო
დეპორტივო - ალავესი
მალიორკა - სელტა
სოსიედადი - ვილიარეალი
ტენერიფე - ბარსელონა
ოსასუნა - სარაგოსა
რაიო ვალეკანო - სევილია

XXIV ტური, 6 თებერვალი

ვალიადოლიდი - რეალი
ლას პალმასი - ბეტისი
ბილბაო - მალაგა
ალავესი - ვალენსია
სელტა - დეპორტივო
ვილიარეალი - მალიორკა
ბარსელონა - სოსიედადი
სარაგოსა - ტენერიფე
სევილია - ოსასუნა
რაიო ვალეკანო - ესპანიოლი

XXV ტური, 10 თებერვალი

ესპანიოლი - ვალიადოლიდი
რეალი - ლას პალმასი
ბეტისი - ბილბაო
მალაგა - ალავესი
ვალენსია - სელტა
დეპორტივო - ვილიარეალი
მალიორკა - ბარსელონა
სოსიედადი - სარაგოსა
ტენერიფე - სევილია
ოსასუნა - რაიო ვალეკანო

XXVI ტური, 17 თებერვალი

ლას პალმასი - ვალიადოლიდი
ბილბაო - რეალი
ალავესი - ბეტისი
სელტა - მალაგა
ვილიარეალი - ვალენსია
ბარსელონა - დეპორტივო
სარაგოსა - მალიორკა
სევილია - სოსიედადი
რაიო ვალეკანო - ტენერიფე
ოსასუნა - ესპანიოლი

XXVII ტური, 24 თებერვალი

ესპანიოლი - ლას პალმასი
ვალიადოლიდი - ბილბაო
ბეტისი - სელტა
რეალი - ალავესი
მალაგა - ვილიარეალი
ვალენსია - ბარსელონა
დეპორტივო - სარაგოსა
მალიორკა - სევილია
სოსიედადი - რაიო ვალეკანო
ტენერიფე - ოსასუნა

XXVIII ტური, 3 მარტი

ბილბაო - ლას პალმასი
ალავესი - ვალიადოლიდი
სელტა - რეალი
ვილიარეალი - ბეტისი
ბარსელონა - მალაგა
სარაგოსა - ვალენსია
სევილია - დეპორტივო
რაიო ვალეკანო - მალიორკა
ოსასუნა - სოსიედადი
ტენერიფე - ესპანიოლი

XXIX ტური, 10 მარტი

ესპანიოლი - ბილბაო
ლას პალმასი - ალავესი
ვალიადოლიდი - სელტა
რეალი - ვილიარეალი
ბეტისი - ბარსელონა
მალაგა - სარაგოსა
ვალენსია - სევილია
დეპორტივო - რაიო ვალეკანო
მალიორკა - ოსასუნა
სოსიედადი - ტენერიფე

XXX ტური, 17 მარტი

ალავესი - ბილბაო
სელტა - ლას პალმასი
ვილიარეალი - ვალიადოლიდი
ბარსელონა - რეალი
სარაგოსა - ბეტისი
სევილია - მალაგა
რაიო ვალეკანო - ვალენსია
ოსასუნა - დეპორტივო
ტენერიფე - მალიორკა
სოსიედადი - ესპანიოლი

XXXI ტური, 24 მარტი

ესპანიოლი - ალავესი
ბილბაო - სელტა
ლას პალმასი - ვილიარეალი
ვალიადოლიდი - ბარსელონა
რეალი - სარაგოსა
ბეტისი - სევილია
მალაგა - რაიო ვალეკანო
ვალენსია - ოსასუნა
დეპორტივო - ტენერიფე
მალიორკა - სოსიედადი

XXXII ტური, 31 მარტი

სელტა - ალავესი
ვილიარეალი - ბილბაო
ბარსელონა - ლას პალმასი
სარაგოსა - ვალიადოლიდი
სევილია - რეალი
რაიო ვალეკანო - ბეტისი
ოსასუნა - მალაგა
ტენერიფე - ვალენსია
სოსიედადი - დეპორტივო
მალაგა - ესპანიოლი

XXXIII ტური, 7 აპრილი

ესპანიოლი - სელტა
ალავესი - ვილიარეალი
ბილბაო - ბარსელონა
ლას პალმასი - ბარსელონა
ვალიადოლიდი - სევილია
რეალი - რაიო ვალეკანო
ბეტისი - ოსასუნა
მალაგა - ტენერიფე
ვალენსია - სოსიედადი
დეპორტივო - მალიორკა

XXXIV ტური, 14 აპრილი

ვილიარეალი - სელტა
ბარსელონა - ალავესი
სარაგოსა - ბილბაო
სევილია - ლას პალმასი
რაიო ვალეკანო - ვალიადოლიდი
ესპანიოლი - რეალი
ტენერიფე - ბეტისი
სოსიედადი - მალაგა
მალიორკა - ვალენსია
დეპორტივო - ესპანიოლი

XXXV ტური, 21 აპრილი

ესპანიოლი - ვილიარეალი
სელტა - ბარსელონა
ალავესი - სარაგოსა
ბილბაო - სევილია
ლას პალმასი - რაიო ვალეკანო
ვალიადოლიდი - ოსასუნა
რეალი - ტენერიფე
ბეტისი - სოსიედადი
მალაგა - მალიორკა
ვალენსია - დეპორტივო

XXXVI ტური, 28 აპრილი

ბარსელონა - ვილიარეალი
სარაგოსა - სელტა
სევილია - ალავესი
რაიო ვალეკანო - ბილბაო
ოსასუნა - ლას პალმასი
ტენერიფე - ვალიადოლიდი
სოსიედადი - რეალი
მალიორკა - ბეტისი
დეპორტივო - მალაგა
ვალენსია - ესპანიოლი

XXXVII ტური, 5 მაისი

ბარსელონა - ესპანიოლი
ვილიარეალი - სარაგოსა
სელტა - სევილია
ალავესი - რაიო ვალეკანო
ბილბაო - ოსასუნა
ლას პალმასი - ტენერიფე
რეალი - მალიორკა
ვალიადოლიდი - სოსიედადი
ბეტისი - დეპორტივო
მალაგა - ვალენსია

XXXVIII ტური, 12 მაისი

სარაგოსა - ბარსელონა
სევილია - ვილიარეალი
რაიო ვალეკანო - სელტა
ოსასუნა - ალავესი
ტენერიფე - ბილბაო
სოსიედადი - ლას პალმასი
მალიორკა - ვალიადოლიდი
დეპორტივო - რეალი
ვალენსია - ბეტისი
ესპანიოლი - მალაგა

მსოფლიოს აფრიკული წილი

მსოფლიოს 2002 ჩემპიონატის ხუთ აფრიკულ საგზურს პატრონები გამოუჩნდნენ. თუ ნიგერიისა და კამერუნის სახელებს უკვე მიჩვეულნი ვართ, სენეგალმა ნამდვილი სენსაცია გამოაცხო. კამერუნელები მეხუთედ ითამაშებენ მსოფლიოს პირველობაზე. ნიგერია და ტუნისი კი მესამედ გაემგზავრებიან მთავარ საფეხბურთო ტურნირზე. სამხრეთ აფრიკას ეს პატივი მეორედ ერგო. ალბათ, საინტერესო იქნება, თვალი გადავავლოთ ამ ნაკრებების მიერ კორეა-იაპონიისკენ განვლილი გზა.

კამერუნი

საკვალიფიკაციო ეტაპი: სომალი 3:0; 3:0
A შესარჩევი ჯგუფი: ლიბია 1:0; 3:0, ანგოლა 3:0; ტოგო 2:0; 2:0, ზამბია 1:0; 2:2.
ბომბარდირი: პატრიკ მბომა – 6.
მწვრთნელი: რობერტ ჯორფუ (საფრანგეთი)
მსოფლიოს ჩემპიონატებზე
1982 – პერუ 0:0, პოლონეთი – 0:0, იტალია – 1:1. ჯგუფიდან ვერ გავიდა,
1990 – არგენტინა 1:0, რუმინეთი 2:1, სსრკ 0:4, მერვედფინალი – კოლუმბია 2:1, მეოთხედფინალი – ინგლისი 2:3
1994 – შვეიცა 2:2, ბრაზილია 0:3, რუსეთი 1:6. ჯგუფიდან ვერ გავიდა
1998 – ავსტრია 1:1, იტალია 0:3, ჩილე 1:1, ჯგუფიდან ვერ გავიდა.
რეიტინგი: აფრიკა – 4, ფიფა – 34

ნიგერია

საკვალიფიკაციო ეტაპი: ერითრია 4:0; 0:0
B შესარჩევი ჯგუფი: სიერა ლეონე 2:0; 0:1, ლიბერია 2:0; 1:2, სუდანი 3:0; 4:0, განა 3:0.
ბომბარდირი: ვიქტორ აგალი – 4
მწვრთნელი: ამოდუ შაიბუ (ნიგერია)
მსოფლიოს ჩემპიონატებზე
1994 – ბულგარეთი 3:0, არგენტინა 1:2, საბერძნეთი 2:0, მერვედფინალი – იტალია 1:2, 1998 – ესპანეთი 3:2, ბულგარეთი 1:0, პარაგვაი 1:3, მერვედფინალი – დანია 1:3.
რეიტინგი: აფრიკა – 6, ფიფა – 39

სენეგალი

საკვალიფიკაციო ეტაპი: ბენინი 1:0; 1:1
C შესარჩევი ჯგუფი: – ალჟირი 3:0; 1:1, ეგვიპტე 0:0; 0:1, მაროკო 1:0; 0:0, ნამიბია 4:0; 5:0
ბომბარდირი: ელ-შაჯი დიუფი – 8
მწვრთნელი: ბრუნო მეტსიუ (საფრანგეთი)
მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად ითამაშებს.
რეიტინგი: აფრიკა – 14, ფიფა – 70

სამხრეთ აფრიკა

საკვალიფიკაციო ეტაპი: ლესოტო – 1:0; 2:0
E შესარჩევი ჯგუფი: ზიმბაბვე 2:1; 2:0, ბურკინა ფასო 1:0; 1:1, მალავი 2:0; 2:1
ბომბარდირი: შონ ბარტლეტი – 4
მწვრთნელი: ჯარლუმ ჯეირუში (პორტუგალია)
მსოფლიოს ჩემპიონატებზე
1998 – საფრანგეთი 0:3, დანია 1:1, საუდის არაბეთი 2:2. ჯგუფიდან ვერ გავიდა.
რეიტინგი: აფრიკა – 2, ფიფა – 25

ტუნისი

საკვალიფიკაციო ეტაპი: მავრიტანია 3:0; 2:1
D შესარჩევი ჯგუფი: ჯოტ დივუარი 1:1; 2:2, მადაგასკარი 1:0; 2:0, კონგო 6:0; 2:1, კონგოს დრ 6:0; 3:0
ბომბარდირი: ზუბეირ ბაია – 6
მწვრთნელი: ეკჰარდ კრაუტცენი (გერმანია)
მსოფლიოს ჩემპიონატებზე
1978 – მექსიკა 3:1, გფრ 0:0, პოლონეთი 0:1, ჯგუფიდან ვერ გავიდა.
1998 – ინგლისი 0:2, კოლუმბია 0:1, რუმინეთი 1:1, ჯგუფიდან ვერ გავიდა.
რეიტინგი: აფრიკა – 1, ფიფა 22

ნიგერიელთა მეგოლე ვიქტორ აგალი

რუსეთი

XX ტური

კრილია 4 ლოკომოტივი
0:1 იზმაილოვი (59), 1:1 რადიმოვი (88)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, იგნაშევიჩი, სენიკოვი, ლეკსეტო, ობრადოვიჩი, ჩუგაინოვი, იზმაილოვი (ლავრიკი 85), ნიკეგოროდოვი (დროზდოვი 34), ობინორა (ბუზნიკინი 85), ლოსკოვი, პიმენოვი
ზაზა ჯანაშია *სათადარიგოში იყო*

რკინიგზელთა სამარაში ჩასვლა იქაურთავის დიდი ამბავი იყო. რუსი მედიელები იმასაც კი ამბობენ, ამ ქალაქში ხალხი ფეხბურთზე გაგიჟდა და „ლოკომოტივთანაც“ თავისიანებს ისე ქომაგებდნენ, აქამდე რომ არავის უნახავსო.

„ღელეს სამარული ფეხბურთის ბედი წყდება“... აი, ასეთი პათოსით დაიწყო პირდაპირი გადაცემა ადგილობრივ ტელევიზიაში. „კრილიაში“ პირველად ითამაშა რუსეთის ნაკრების ფეხბურთელმა ვლადისლავ რადიმოვმა. ითამაშა და დამთავრებამდე ორი წუთით ადრე გამთანაბრებელიც შეაგდო, არადა სამარელები ზედიზედ მეორე წაგებას აბა, როგორ გადაიტანდნენ. ჟურნალისტებმა გამოთვალეს და აღმოჩნდა, რომ რუსთა ჩემპიონატში რადიმოვს ბოლოჯერ 815 დღის წინ გუტანია.

ზაზა ჯანაშია კი სიომინმა ისევ სათადარიგოთა შორის გაამწესა.

სოლოვმონ გულისაბვილი

სპარტაკი	19	10	6	3	30:17	36
ლოკომოტივი	20	10	5	5	33:16	35
კრილია	20	10	5	5	26:15	35
ზენიტი	19	10	5	4	31:24	35
ცსკა	19	9	6	4	25:15	33
ტორპედო	19	8	5	6	32:26	29
სოკოლი	19	8	5	6	21:25	29
სატურნი	19	7	6	6	23:15	27
ანჟი	19	5	8	6	18:16	23
დინამო	19	5	7	7	23:28	22
როსტსელმაში	19	6	4	9	17:22	22
ალანია	19	6	4	9	19:27	22
ფაკელი	19	5	4	10	19:24	19
ზილ	19	4	6	9	13:26	18
როტორი	19	4	5	10	21:30	17
ჩერნომორეცი	19	2	7	10	9:34	13

ავსტრია

V ტური

ბრეგენცი 0:5 შტურმი
0:1 ბერგერგერი (45), 0:2 ამოა (56), 0:3 კოროში (76), 0:4 ვასატინ (90), 0:5 ბაასი (92)
ბრეგენცი: სიდერენკოვა, ნოვაკოვიჩი, ფელდგოფერი (ბრეგერი 46), ფერნანდესი, კოროში, ფელტერ, რაბინბაიერი (ბაასი 67), ბერგერგერი, როსსი, ვასატინი, ამოა (ზაბისი)
დავით მუჯირი *განაცხადში ვერ მოხვდა*

აუსტრია 3:3 რიდი
გრაცერი 5:0 კერნტენი
ტიროლი 6:0 ადმირა ვაკერი

ტიროლი	5	4	1	0	14:0	13
გრაცერი	5	3	1	1	13:6	10
შტურმი	5	3	1	1	11:4	10
რაპიდი	5	3	1	1	9:7	10
რიდი	5	2	3	0	12:8	9
კერნტენი	5	2	0	3	5:10	6
ზალცბურგი	5	1	2	2	2:3	5
აუსტრია	5	0	3	2	6:8	3
ბრეგენცი	5	1	0	4	2:16	3
ადმირა	5	0	0	5	1:13	0

ვალენსია გაიტანეს და დააბრუნეს ქურდული გაგებით თასი არ იპარება

წინა უქმეებზე ესპანურ ვალენსიაში ქურდობა მოხდა. არა, არც ბანკი გაუძარცვავთ და არც მაღალი ძაბვის ალუმინის ხაზები აუხვევიათ. გაძარცვეს საფეხბურთო კლუბ „ვალენსიას“ სტადიონის ის ოთახი, სადაც ამ გუნდის ყველა ჯილდო ინახებოდა. უკუნეთ ღამეში მძარცველებმა შენობაში შეაღწიეს და „ვალენსიას“ მოპოვებული ყველა თასი თუ ჯილდო ღიღინ-ღიღინით გაიტანეს. ამ დროს რა საქმით იყო დაკავებული დაცვის სამსახური, სააგენტოები არ იტყობინებიან. აღმოჩნდა, რომ წაიღეს ესპანეთის სუპერთასი, სამეფო თასი და 1980 წელს მოგებული უეფას თასი. ესპანეთი ევროპაა, სხვა ქვეყანაა და ქურდებიც განსხვავებული ჰყავთ. სავარაუდოა, რომ ისინი შავ საქმეზე ალკოჰოლით შებუჟებულნი წავიდნენ. გამოფხიზლდნენ თუ არა, თავში ხელი შემოირტყეს, ეს რა სისულელე ჩავიდინეთო, მშობლიური გუნდიო, ესაო, ისაო, საყვარელი ფეხბურთელებიო, ოფლით მოპოვებული ჯილდო-თასებიო...

ერთი სიტყვით შავბნელი ხალხი ნამუსმა შეაწუხა, ჰოდა, ღამით წაღებული, ისევ ღამით საკუთარი ხელით დააბრუნეს. ეგრეა, ძმაო, ევროპაა, და ფერად ლითონებს არ იბარებენ...

ვაჟა ხუციშვილი

არგენტინას უფულობა ჩაშლის

არგენტინის ჩემპიონატი, რომელიც დღეს უნდა დაწყებულიყო, ჩაშლის პირასაა. უმაღლესი ლიგის ოცი გუნდიდან მხოლოდ რვამ მოახერხა ფეხბურთელებისთვის დავალიანების გასტუმრება. არგენტინის ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტ სერხიო მარჩის განცხადებით, ჩემპიონატი არ დაიწყება, სანამ ფეხბურთელები კუთვნილ ფულს არ მიიღებენ. ეს თანხა დაახლოებით 15 მილიონ დოლარს შეადგენს. მაისში, როდესაც ფეხბურთელები პირველად გაიფიცენ, არგენტინის ფეხბურთის ასოციაცია მათ შეეპირდა, რომ ივნის-ივლისისთვის თვითონ გადაიხდიდა კლუბების ვალებს. „ვადა ამოიწურა, ჩვენ კი ისევ უფულოდ ვართ“ — ამბობს სერხიო მარჩი და არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონას პირობის დარღვევაში ადანაშაულებს. გრონდონას ეროვნულ ბანკთან მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო. მისი თქმით, სესხის თაობაზე საუბრები სხვა ბანკებთან გაგრძელდება.

სერგი ბორიძე

ფეხბურთის რუკასთან

არგენტინელი თავდამსხმელი ლუჩანო გალეტი „სარაგოსამ“ „ესტუდიანტესისგან“ გადაიბირა. 21 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ესპანურ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, არგენტინელებმა კი სანაცვლოდ 3,3 მილიონი გირვანქა მიიღეს. „სარაგოსაში“ გალეტი მეოთხე ახალწვეულია ესკერდინიას, სლობოდან კომლიენოვიჩისა და გორან დრულიჩის შემდეგ.

რუმინელი ნახევარმცველი კატალინ მუნტიანუ მადრიდის „ატლეტიკომ“ ერთი წლით „ესპანიოლში“ გაანათხოვრა. „პრიმერადივიზიონში თამაში ჩემთვის დიდი გამოცდილება იქნება, „ესპანიოლიც“ მაღალი კლასის გუნდია“ — განაცხადა 22 წლის ფეხბურთელმა, რომელმაც წინა ორი სეზონი „სალამანკაში“ გაატარა, სადაც მადრიდულ კლუბს ასევე ივჯარით ჰყავდა გაშვებული. მან იქ 17 გოლი გაიტანა.

ინგლისურმა „ნიუკასლ იუნაიტედმა“ საბოლოოდ მიაღწია შეთანხმებას „პარი სენ ჟერმენთან“ და 26 წლის ნახევარმცველი ლორან რობერი გადაიბირა, პარიზულ კლუბს კი სანაცვლოდ 10 მილიონი გირვანქა გადაუხადა. „მოხარული ვარ, რომ ინგლისში ვითამაშებ. მოუთმენლად ველი იმ მომენტს, როცა მაყურებლით სავსე „სენტ ჯეიმს პარკზე“ პირველად გავალ“ — განაცხადა ფრანგმა, რომლის შეძენის სურვილს იქამდე „ვალენსია“ და მიუნხენის „ბაიერნიც“ გამოთქვამდნენ, თუმცა ინგლისელთა შეთავაზება პარიზული კლუბისთვის ყველაზე ხელსაყრელი აღმოჩნდა.

გერმანულმა „ჰანზამ“ ბოლო რამდენიმე დღეში თავის რიგებში უკვე მეორე თავდამსხმელი აიყვანა. ცოტა ხნის წინ როსტოკულ კლუბში მიუნხენის „ბაიერნის“ 22 წლის ფორვარდი ანტონიო და სილვო ჩაირიცხა. ახლა კი „ჰანზამ“ მიუნხენის მეორე კლუბის, „მიუნხენ 1860“-ის ფეხბურთელ მარკუს ბეიერლესთან გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი. როსტოკელთა მწვრთნელმა ფრიდჰელ ფუნკელმა 29 წლის მოთამაშე „დუისბურგში“ თამაშისას გაიცნო. „ჰანზას“ ბეიერლეს გადაბირება 750 ათასი დოლარი დაუჯდა.

იტალიელი მცველი პაოლო კანავარო და კოლუმბიელი ნახევარმცველი ხავიერ მონტანო „პარმამ“ ერთი სეზონით „ვერონაში“ გაანათხოვრა. შეგახსენებთ, რომ „ვერონას“ ამჟამად „პარმას“ ყოფილი თავკაცი ალბერტო მალეზანი წვრთნის და იგი ორივე ფეხბურთელის თამაშს იცნობს. ისიც ვთქვათ, რომ პაოლო იტალიის ნაკრების მცველის, ფაბიო კანავაროს უმცროსი ძმაა. „პარმა“ კი მოლაპარაკებას განაგრძობს „უდინეზესთან“ და ნახევარმცველი რობერტო მუცის სანაცვლოდ 9 მილიონ დოლარს სთავაზობს.

ხორვატმა ნახევარმცველმა 32 წლის რობერტ პროსინეჩკიმ ინგლისის პირველდივიზიონურ „პორტსმუთთან“ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მადრიდის „რეალისა“ და „ბარსელონას“ ყოფილი მოთამაშე ბოლოს ბელგიურ „სტანდარდში“ თამაშობდა. ინგლისში გადასვლაზე იგი თანამემამულე მილან მანდარიკმა დაიყოლია, რომელიც „პორტსმუთის“ მფლობელია. პროსინეჩკიმ 1990 წელს იუგოსლავიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა, 1998 წელს კი მან ხორვატიის ნაკრების ღირსება დაიცვა. ვეტერანმა ფეხბურთელმა 1991 წელს „ცრვენა ზვეზდასვან“ ერთად ჩემპიონთა თასიც მოიგო.

ინგლისის პრემიერლიგის ახალწვეულმა „ფულემმა“ „ნანსიდან“ მარკოს ნაკრების მოთამაშე აბდესლამ უადი შეიძინა. 22 წლის აფრიკელმა ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ფრანგულმა კლუბმა კი სანაცვლოდ 2,2 მილიონი გირვანქა მიიღო. უადმა თავისი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში შარშან სიდნეის ოლიმპიადაზე ითამაშა. იქამდე მან „ფულემში“ ერთკვირიანი შემოწმება გაიარა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

შოტლანდიის ჩემპიონმა გლაზგოს „სელტიკმა“ ჩემპიონთა ლიგის განაცხადების შეტანის ამოწურვამდე რამდენიმე საათით ადრე ორი მოთამაშე შეიძინა. მარტინ ონილის გუნდს „ქოვენთრის“ უელსელი თავდამსხმელი ჯონ ჰართსონი და „ლესტერის“ ნახევარმცველი სტივ გაპი შეუერთდნენ. გლაზგოურმა კლუბმა ჰართსონი უფასოდ ჩაიგდო ხელში, ხოლო გაპის სანაცვლოდ 700 000 გირვანქა გადაიხადა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს ინგლისის ნაკრებშიც უთამაშია.



ჩემპიონატის სარბიელი — თანამეგობრობის სტადიონი



მაიკლ ჯონსონი ერთი იმ მცირედთაგანი იჯრება, ვინც ედმონტონში თავის საფირმო სახეობაში ვერ გამოვა

მშვიდობით, სიყვარულო!

ედმონტონი ისტორიით და რეფორმებით იწყებს

ყოველგვარი ექსცესების გარეშე ასრულებენ მზადებას ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორები. იუწყებიან, რომ ყველაფერი მზადაა და დღეს, ჩვენთან რომ კარგად დაღამდება, კანადური ალბერტას პროვინციის დედაქალაქ ედმონტონში გახსნის ცერემონიალი შედგება, მერე კი პირველი და გამორჩეული შეჯიბრიც — ვაჟთა მარათონი ყველა დიდი მარათონელით. ამაზე ქვემოთ...

ედმონტონში ახლა საკმაოდ გრილა. 54-ე პარალელზე მძლეოსანთა გარჯისთვის სწორედ რომ იდეალური კლიმატია, ამიტომ იქ ჩასულ ათლეტებს ხალისი ეტყობათ. ერთი გაბრიელა საბო ჩანდა მოღუშული და როცა ჟურნალისტებმა მიზეზი ჰკითხეს, პირდაპირ განაცხადა, არ ვირბენ 5 000 მეტრზე, თუ ოლგა ეგოროვა ჩემს გვერდით დადგებაო. ეგოროვას თურმე „ოქროს ლიგის" პარიზულ ეტაპზე დოპინგთა მეფე ერითროპოეტინი, იგივე ეპო აღმოუჩინეს, მაგრამ ჯერ მხოლოდ მისი ანალიზის A ნიმუში ყოფილა გამოკვლეული. B ნიმუშის შედეგებს დრო სჭირდებაო, ხოლო რადგან რუსმა აპელაციის შეტანა არ დაყოვნა, იგი ჩემპიონატზე დაუშვეს, როგორც არც მთლად დამნაშავე.

„თუ ის იქნება, მე არ ვიქნები — იფეთქა საბომ — მისი წლევანდელი შედეგები ადრეც მიკვირდა. შარშან 8 წუთსა და 33 წამზე დაბლა არც ერთხელ ჩამოსულა, წლეულს ათი წამი ჩამოაკლო. ასეთი პროგრესი ბუნებაში არ არსებობს და საერთოდ, ეს სპორტი არ არის".

საბოს აპელპილება გასაგებია იმდენად, რამდენადაც წლევანდელ გზებზე რუსებმა რუმინელი რამდენჯერაც მოიხელთეს, იმდენჯერ დაამარცხეს და პრესას საბოს ჩავარდნაზე ლაპარაკი დაუწყებინეს. საბოს აზრით, ედმონტონშიც იგივე განმეორდება, ეპო-იანები მას უსამართლოდ გაუსწრებენ.

ეგოროვას თავდაცვა არ უკდია, მწვრთნელი ვალერი კულიჩენკო კი გამოესარჩლა — ოლგა უდანაშაულოა და მას ამის დამტკიცების შანსი უნდა მიეცეს, ყველაფერს შესაბამისი ორგანოები გადაწყვეტენო. ხოლო ეს ორგანო ახლო მომავალში იქნება არა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) საარბიტრაჟო სასამართლო, არამედ სპორტის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც ლოზანაშია და სპორტის ყველა სახეობისთვის ღია აქვს კარი. აღარც იააფ-ი იქნება ძველი იააფ-ი. ვგულისხმობთ სახელწოდებას, რომელიც აქამდე შემდეგი სიტყვების აბრევიატურა გახლდათ: „სამოყვარულო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია." ან აქამდე როგორ მოაღწია უაღრესად ძველმოდურმა სიტყვამ „სამოყვარულო", როცა მძლეოსნები თავიანთი საქმით თავის რჩენაზე ბევრად მეტსაც ახერხებენ? დღეიდან კი მძლეოსნობის მმართველი ორგანოს სახელი გახლავთ „მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაცია" და კარგი ისაა, რომ აბრევიატურა იგივე დარჩა, თორემ იააფ-ის უთვალავი სიმბოლიკის რეორგანიზაცია წამების და კაპიკების საქმე არ გახლავთ.

იააფ-ი ედმონტონში კონგრესსაც მართავს და ზემორე ცვლილება მასზე უკვე გაფორმდა. იააფ-მა ახალი რეგლამენტიც დაამტკიცა სპრინტერთათვის, რაც 2003 წელს ფალსტარტების ორიდან ერთამდე ჩამოყვანას გულისხმობს. რაც შეეხება ტყორცნების ოდენობის 6-დან ოთხამდე და ჭოკით ხტომის 3-დან 2-მდე ჩამოყვანის საკითხებს, ამაზე ჯერაც კამათობენ და ალბათ ედმონტონში არაფერი შეიცვლება, რადგან ფალსტარტების შემცირება სპორტსმენებისთვის უფრო „ადვილად გადასატანი" ამბავია, ცდების რაოდენობის შემცირებისას კი ადაპტაციას მეტი დრო და ენერგია სჭირდება. ცვლილება სპრინტერებმა დაიწუნეს. მარიონ ჯონსმა და მორის გრინმა საპროტესტო პეტიციას თავიანთი ხელმოწერები შეუერთეს, თუმც იააფ-ი ურყევი იყო. „ჩვენ ოქროს შუალედი ავირჩიეთ — თქვა უნგრელმა იშტვან დიულაიმ, იააფ-ის გენერალურმა მდივანმა — გვთავაზობდნენ ფალსტარტების საერთოდ გაუქმებასაც, მაგრამ არ მოვიწონეთ ანუ გავითვალისწინეთ სპრინტერთა ინტერესები და, ცხადია, ტელევიზიისაც. მძლეოსნობა დინამიური სპორტი უნდა გავხადოთ".

კიდევ ერთხელ ვახსენოთ საბო, მაგრამ მხოლოდ ვახსენოთ: ბოლო ცნობებით, იგი სირბილზე დაიყაბულეს, ხოლო დიდმა ეთიოპმა სტაიერმა, ჰაილე გებრესლასიემ მის მხარდასაჭერად თქვა: „საბო მართალია, არ არის ლამაზი, როცა სპორტი შენი ნამდვილი კი არა, გაბერილ შესაძლებლობათა წარმოსაჩენი ასპარეზი ხდება. მივესალმები იააფ-ის გეგმებს დოპინგთან საბრძოლველად".

გებრესლასიემ ისიც თქვა, რომ ედმონტონში „ჰეფი ენდისთვის" ჩავიდა. ის არის ოლიმპიური ჩემპიონი, ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ახლა კი აი, რას ამბობს: „ოთხჯერ ჩემპიონობა კარგია, მაგრამ ხუთჯერ უკეთესი. მერე კი, მგონი, წავალ".

ჩემპიონატის გრაფიკი საკმაოდ დატვირთულია. 4 აგვისტოს ფაქტობრივად ყველა სახეობაში საკვალიფიკაციო ეტაპები შედგება და ვაჟთა ბირთვის კვრის ფინალიც, 5-ში ორიოდ სხვა ფინალსაც ვიხილავთ, ყველაზე ადრე კი, უკვე მოგახსენეთ, მამაკაცთა მარათონი გაიმართება უზარმაზარი ინტრიგის თანხლებით, რადგან ვინც კი კარგი მემარათონეა, ედმონტონს ყველა ჩავიდა, ვერ გავარკვიეთ მხოლოდ კენიელი მოზეს ტანუის ამბავი. სხვები კი ინებეთ:

ხალიდ ხანუჩი — მაროკოელი მსოფლიოს რეკორდსმენი. მან მოქალაქეობა შეიცვალა და ამერიკის სახელით პირველად ირბენს. ბოლო ხანებში ზურგის სპაზმები ტანჯავდა, მაგრამ ამბობენ, მოირჩინა და ედმონტონში სრული ძალით ირბენსო. მისი სარეკორდო შედეგი 2:05.42-ია.

აბდელკადერ ელ მუაზიზი — ესეც მაროკოელია, ოღონდ თავისი ქვეყნის ერთგული. ბოლო წლებში ელ მუაზიზი და ლონდონის უპრესტიჟულესი მარათონი განუყრელი ცნებებია. წლევანდელი ალბიონური მარათონი სწორედ მან მოიგო, ლენინის დაბადების დღეს.

ჯოზეფატ კიპრონო — კენიელი. თუ მოზეს ტანუი არ ირბენს, კენიელთა მრისხანე ჯგრო სწორედ კიპრონოს გამარჯვებისთვის დაიხარჯება. რამდენიმე კვირაა, კენიაში ვარჯიშობს და გვამცნობენ, რომ დიდებულ ფორმაშია. 27 წლისას სეზონის რეკორდი ეკუთვნის — 2:06.50, რომელიც პრესტიჟით მესამე როტერდამის მარათონზე დაამყარა.

ლი ბონგ-იუ — კაცი-სენსაცია სამხრეთ კორეიდან, რომელმაც წლევანდელ ბოსტონის მარათონზე პირი დაალებინა კენიელებსაც, ეთიოპელებსაც, ევროპელებსაც და მასპინძლებსაც. ლი ბონგ-იუ მოუღლელი ჭენებით, პირველი გადავიდა ფინიშზე, როცა სხვები არ ჩანდნენ და ისტორიული გამარჯვებიდან 2 დღეში ედმონტონს მიაშურა სამარათონე ტრასის სანახავად. იქ მან იხილა მშვენივრად მოწყობილი გზა მდინარე ჩრდილოეთ სასკაჩევანის შემოგარენში, ოღონდ მრავალი ბორცვით, რისიც სულ არ შეშინებია — ბოსტონის ტრასაც კარგა ოღროჩოღრო იყო.

გეზაგნე აბერა — ეთიოპელი ოლიმპიური ჩემპიონი, ვისაც სიდნეის ტრიუმფამდე, მისი სიტყვებით, ბოსტონის მარათონზე ნაღდი გამარჯვება კენიელებმა უპატიოსნოდ წაართვეს. შარშანდელ მარათონზეა ლაპარაკი, როცა მოზეს ტანუი და ელია ლაგატი თურმე წიხლებით ამუხრუჭებდნენ აბერას. კენიელთა ვერსია სხვაგვარია, აქეთ გვირტყამდა წიხლებსო, მაგრამ შევეშვათ ამას, ფაქტი ისაა, რომ სიდნეის შემდეგაც აბერა რიგიან ფორმაშია და ფავორიტად ითვლება. ეთიოპთა მეორე იმედია სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი ტესფაიე ტოლა.

სამხრეთ აფრიკის სამარათონე ფლაგმანები იქნებიან თეორი გერტ ტისი და შავი ჯოზია თუგვანე, რომელსაც ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონად ვიცნობთ. არც ბებერი კონტინენტის ჩამოწერა იქნება, რადგან ედმონტონში თითქმის უკლებლივ ირბენენ ცნობილი ესპანელები: ანტონიო პენია, ხულიო რეი და ფრანსისკო ხავიერ კორტესი. პირინეელები მხოლოდ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ აბელ ანტონს მოისაკლისებენ, ხოლო აპენინებიდან კანადას ჩასულებში სტეფანი ბალდინი უნდა გამოვარჩიოთ.

დავით გულუა

ბოსტონის და ლონდონის მარათონის გამარჯვებულები ლი ბონგ-იუ და აბდელკადერ ელ მუაზიზი დღეს ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატს მართონით დაიწყებენ

ვახტანგ ნაცვლიშვილმა შავი ზღვიდან ატლანტის ოკეანეს მიაშურა

ისევ იქ, პორტუგალიაში...

ვახტანგ ნაცვლიშვილისთვის ვიზას კონტრაქტის ფასი აქვს

საქართველოს ნაკრების კაპიტანი, აწ უკვე ექსბასკელი ვახტანგ ნაცვლიშვილი კარიერას ევროპაში გააგრძელებს. მისი მომავალი კლუბი, პორტუგალიის ვიცე-ჩემპიონი „ოლივერენსე" თავის ქვეყანაში ერთ-ერთი ტიტულიანი გუნდია. მასში ორი ამერიკელი, ერთი ესპანელი და პორტუგალიის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის გამთამაშებელი ირიცხებიან, მაგრამ, როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობას ეს არ აკმაყოფილებს და გუნდის კიდევ უფრო გაძლიერება განუზრახავს. იმასაც გეტყვით, რომ ეს კლუბი ნაცვლიშვილისთვის სულაც არ არის უცხო. 1997-98 წლების სეზონში ჩვენი ნაკრების კაპიტანი სწორედ ამ გუნდში გამოდიოდა და „ოლივერენსემ" პორტუგალიის რეგულარულ ჩემპიონატში პირველი ადგილი რომ დაიკავა, ამაში ვატოს დიდი დამსახურებაა. თუმც შემდეგ პლეი ოფში ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთიშა. წლეულს „ოლივერენსე" ევროსარბიელზე იასპარეზებს. გუნდს უფლება აქვს, როგორც კორაჩის, ასევე საპორტას თასზე მოსინჯოს ძალები. ნაცვლიშვილის თქმით, ოლივიერელებს (გუნდი ამ ქალაქისაა) ჯერ გადაუწყვეტია, რომელ შეჯიბრში გამოვლენ, თუმც სავარაუდოდ საპორტას თასს მიანიჭებენ უპირატესობას. პორტუგალიაში კარგად ახსოვთ ვატოს თამაში და კლუბის გაძლიერებაზე რომ მიდგა საქმე, პირველ რიგში ჩვენებურს შეეხმიანენ და კონტრაქტის გაფორმება შესთავაზეს, ისე, რომ მის გასინჯვას არც აპირებენ. „ერთწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს ბინითა და მანქანით უზრუნველყოფილი ვიქნები. ხელფასიც ჩემთვის დამაკმაყოფილებელი მექნება. უკვე მივიღე მათი პირობები და პორტუგალიაში რომ ჩავალ, კონტრაქტს ხელს მაშინ მოვაწერ" — გვითხრა ვახტანგ ნაცვლიშვილმა.

ამჟამად ვატო თბილისშია და პორტუგალიის ვიზას ელის. 7 აგვისტოდან მისი მომავალი კლუბი შეკრებას იწყებს. ნაცვლიშვილი იმედოვნებს, რომ ამ დროისთვის ვიზის პრობლემა მოგვარდება და შეძლებს გუნდთან შეერთებას.

ირაკლი ბერტაია

ფირმების რეგისტრაცია
ოფშორული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიმზე" მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

დალას მავერიქსი

DALLAS MAVERICKS

დაარსდა 1980 წელს
ნბა-ს ჩემპიონი არ ყოფილა
მუდმივი ნომერი. 15 (ბრედ დევისი), 22 (როლანდო ბლეიმენი)
დარბაზი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაღდი ტეხასელები

„ამ გუნდში ტეხასის სული დევს" — უთქვამს ერთხელ ლეგენდარულ მწვრთნელ პატ რაილის. ორი ათეული წელია, „დალას მავერიქსი" არსებობს და ბევრ უფროს მეტოქეზე მეტი სიმპათიები დაუმსახურებია. ტეხასელები უმძიმეს მდგომარეობაშიც ყოფილან, როგორსაც ნებისმიერი სხვა გუნდი საკუთარი თავის გარდა ყველა სხვას უსურვებს, თუმც გული არასდროს გაუტეხიათ და ყოველთვის რჩებოდნენ ბედთან შეურიგებელ და უკეთესი მომავლისთვის მებრძოლ გუნდად. „მავერიქსი" არსებობის მანძილზე არ გასულა ფინალში, შესაბამისად, არც არასდროს ყოფილა ჩემპიონი, თუმც ტეხასელები ყოველთვის მწვერვალისკენ ილტვოდნენ, მაშინაც კი, როცა სეზონში თამაშების ცხრა მეათედს აგებდნენ.

„დალას მავერიქსის" ისტორიას სათავე დონალდ ჯეი კარტერმა დაუდო. ამბიციამოძალებულ ადგილობრივ მილიონერს უკვირდა, როგორ შეიძლებოდა, ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქს, დალასს, ნბა-ში თავისი გუნდი არ ჰყოლოდა და ამ ხარვეზის აღმოფხვრას შეუდგა. 1979 წელს მან ააწრიალა ნბა-ს მთავარი ოფისი, ნბა-ს მამებს კარი აუტალახა და საწადელს მიაღწია. „მავერიქსი" ოფიციალურად 1980 წელს დაარსდა, კარტერმა ნბა-ში საწვერო 12 მილიონი დოლარი შეიტანა და გუნდი 1980-81 წლების სეზონიდან ნბა-ს დიდ ოჯახს შეუერთდა. ტეხასელთა პირველი მწვრთნელი გახლდათ ცნობილი სპეციალისტი დიკ მოტა, რომელიც ათი წლის წინ კოლეგათა შორის საუკეთესოდ აღიარეს, ორი წლის წინ კი „ვაშინგტონ ბულეტსი" აჩემპიონა. დებიუტი უიღბლო გამოდგა, „მავერიქსმა" ცუდად დაიწყო, რეგულარულ სეზონში 82 მატჩიდან 67 წააგო და ნბა-ში მყარი ბოლო ადგილი დაიკავა. მართალი რომ ითქვას, ეს არავის გაჰკვირვებია, დებიუტანტისგან ბევრად მეტი არ იყო მოსალოდნელი. დალასელებს სჯეროდათ დიკ მოტასი, მოტას — საკუთარი თავის. ისინი ცოტას ვიშვიშებდნენ და ბევრს და ერთად მუშაობდნენ. მომდევნო სეზონში „დალასმა" 13 თამაშით მეტი მოიგო, შემდეგ კიდევ ათი მატჩით გაუმჯობესა წინა წლის შედეგი და კიდევ სამი წელი ამ მხრივ წინ მიიწევდა. 1987 წელს „დალასმა" რეგულარული სეზონი თავისთვის სარეკორდო, 55 გამარჯვებით დაასრულა.

დიკ მოტას თავისი სამწვრთნელო ფილოსოფია ჰქონდა. იგი შესანიშნავი მწვრთნელი იყო, იქნებ ნბა-ც ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესოც და მისი გუნდი არც ერთ სათამაშო კომპონენტში არ მოიკოჭლებდა. თუმც კი მოტა განსაკუთრებით ერთ რამეს აქცევდა დიდ ყურადღებას. იგი გამუდმებით ჩასჩიჩინებდა შეგირდებს, ყოველი მოპოვებული ბურთი მეტოქის ძვირფასი ნაჩუქარია და მას თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეთო. დალასელებსაც ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი ეს შეგონება. ზედიზედ ხუთ სეზონში (1982-87) ისინი ყველა დანარჩენზე ნაკლებ ბურთს კარგავდნენ და ამის წყალობით შეტევაში საუცხოოდ მისდიოდათ საქმე. თუმც ეს ერთგვარი შეზღუდვა არ ვრცელდებოდა გუნდის პირველ ვარსკვლავ მარკ აგუაირზე. იგი, სადაც მიუვიდოდა ბურთი, იქიდან ისროდა. სიმართლე რომ ითქვას, მას ამისთვის არავინ აკრიტიკებდა, რადგან ეს მშვენივრად გამოსდიოდა. აგუაირმა „დალასში" შვიდი სეზონი გაატარა და მატჩში საშუალოდ 24,6 ქულა მოჰქონდა გუნდისთვის.

აგუაირი „დალასმა" 1981 წლის დრაფტში პირველ ნომრად აიყვანა და მის გარდა კიდევ ორი სხვა მძლავრი ნასტუდენტარი შეიმატა. მეცხრე და 24-ე არჩევნების მჭონე „დალასს" როლანდო ბლექმენი და ჯეი ვინსენტი ერგო. ამ ტრიომ შეადგინა კლუბის ისტორიაში საუკეთესო გუნდის ბირთვი. აქვე ვახსენოთ ერთი წლით ადრე აყვანილი ბრედ დევისი. 1980 წელს ნიჭიერი, მაგრამ შარიანი და ხულიგანი დევისი „დეტროიტმა" გამოაგდო. იგი „დალასმა" მიიღო თავის რიგებში, თუმც ქვედა ლიგაში, კბა-ში განათხოვრებას უპირებდა, რადგან მისგან ხეირს არ ელოდა. ბედად, დაიტოვეს და მოტას ხელში ეს ურჩი ჯეელი „მავერიქსის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდა. მან 12 წელი უერთგულა „დალასს" და პენსიაზე რომ გავიდა, მადლიერმა კლუბმა მუდმივი ნომერი უბოძა.

„მავერიქსისთვის" პლეი ოფის კარი 1984 წელს გაიღო. იმ სეზონში აგუაირი შეუჩერებელი იყო, მატჩში საშუალოდ 29,5 ქულას აკეთებდა და ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გავიდა. იმ წელს მან ითამაშა „ოლ სტარში" და ვარსკვლავთა მატჩების მონაწილე პირველი დალასელი გახდა. „მავერიქსი" არც პლეი ოფში შერცხვა, პირველ წრეში „სიეტლს" სძლია და პირველი საფეხური გადალახა, შემდეგ კი „ლეიკერსთან" დამარცხდა.

ამის შემდეგ „დალასი" ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. მას უფრთხოდა ყველა ბობოლა, ტეხასელები შეცდომას არავის პატიობდნენ.

1986-87 წლების სეზონში „დალასი" პირველად ასცდა რეგულარულში 50 გამარჯვებას. გუნდმა 55 მოგებით შუა დასავლეთის დივიზიონში პირველი ადგილი დაიკავა და ჩემპიონობის ამბიცია გაუჩნდა, მაგრამ პლეი ოფში დიდი გაწბილება ელოდა. ტეხასელები კვლავ „სიეტლს" ხვდებოდნენ და სერიის პირველი შეხვედრა 151:129 მოიგეს, თუმც მერე ზედიზედ სამი წააგეს და გავარდნენ.

ეს იყო სერიოზული მარცხი, დიკ მოტა გადადგა და მისი ადგილი ჯონ მაკლეოდმა დაიკავა. მან რეგულარულ ჩემპიონატში 53 თამაში მოგებინა შეგირდებს და ცხადია, პლეი ოფშიც გაიყვანა. აქ „დალასმა" ფუტორი მოახდინა, პირველი წრიდან „ჰიუსტონი" გამოაგდო, შემდეგ „დენვერსაც"



დირკ ნოვიცკი — „დალასის" აწმყო და მომავალი

იგივე დღე აყარა და დასავლეთის ფინალში ჩემპიონ „ლეიკერსს" შეერკინა. „დალასი" კბილებით იბრძოდა, პირველი ექვსი მატჩის შემდეგ სერიაში ანგარიში 3:3 იყო. გადამწყვეტ, მეშვიდე შეხვედრაში გამოცდილებამ თავისი გაიტანა, „ლეიკერსმა" იმარჯვა და ფინალშიც გავიდა. ეს იყო ტეხასელთა მწვერვალი.

მომდევნო სეზონში აგუაირი „დეტროიტში" გადავიდა და ამან, ცხადია, დაასუსტა „მავერიქსი". ახალი ლიდერი როლანდო ბლექმენი დაბერებულიყო. მართალია, იგი ქულებს იხვეჭდა, რამდენიმე წელიწადში აგუაირსაც გადაუსწრო ჯაში მოპოვებული ქულებით და გუნდის ყველა დროის საუკეთესო მექულეც გახდა, მაგრამ ეს არ კმაროდა. 1990 წელს „დალასი" პლეი ოფში გავიდა და შემდეგ ხანგრძლივი ჩავარდნაც დაიწყო.

„დალასს" აღარ უმართლებდა დრაფტებში, ამას წამყვან მოთამაშეთა ხშირი ტრავმებიც დაემატა და „მავერიქსი" კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. 1992-93 წლების სეზონში ტეხასელებმა მხოლოდ 11 შეხვედრა მოიგეს და სულ ორი თამაში დააკლდათ ლიგის ყველა დროის ანტირეკორდამდე — 82-მატჩიან სეზონში 9 გამარჯვებამდე, რომელიც „ფილადელფიას" 1972-73 წლების სეზონში დაუმყარებია. მომდევნო სეზონში თითქმის იგივე განმეორდა, გუნდმა ოდენ 13 გამარჯვება მოიმკო და ამაყი ტეხასელები ყველას დასაცინი შეიქნენ.

მდგომარეობა მომდევნო სეზონში გამოსწორდა. 1994 წელს „დალასს" ჰყავდა ჯეისონ კიდი, ჯიმ ჯაბალი მაშბურნი, სამი „ჯეი", რომლებთან ერთად „დალასი" შეიძლებოდა შორს წასულიყო. მაგრამ კლუბის მამები შეცდნენ, წამგებიან გაცვლაში მიიღეს მონაწილეობა და სამი „ჯეის" ნაცვლად ახალბედა მაიკლ ფინლი, 229-სანტიმეტრიანი აყლაყუდა შონ ბრედლი და რამდენიმე ნაყარნუყარი მოთამაშე მიიღეს. ამ ცვლილებამ მოგვიანებით გაამართლა, როდესაც ყოფილმა დიდმა მწვრთნელმა, მაშინ კი „დალასის" გენერალურმა მენეჯერმა დონ ნელსონმა გუნდის დამრიგებელი ჯიმ კლემონსი დაითხოვა და მისი ადგილი დაიკავა.

ნელსონი მანამდე სამჯერ აღიარეს წლის მწვრთნელად, ამგვარი პატივი მხოლოდ მას და პატ რაილის ღირსებიათ, ასე რომ, ნელსონზე უკეთ ვერავინ უშველიდა „დალასს". დონმაც იმით დაიწყო, რომ 1998 წლის დრაფტში გერმანელი თავდასხმელი დირკ ნოვიცკი აიყვანა. ამ ჯეელმა ორჯერ უფრო მეტად გაამართლა, ვიდრე მისგან უკეთეს შემთხვევაში ელოდნენ. იგი მატჩში საშუალოდ 21 ქულაზე მეტს აკეთებს და მაიკლ ფინლისთან ერთად გუნდის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ამ ორისა და კანადელი გამთამაშებლის, სტივ ნეშის წყალობით „დალასი" ელიტას დაუბრუნდა. წლეულს ტეხასელები პლეი ოფში გავიდნენ, პირველად 1990 წლის შემდეგ, მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილდნენ. პირველ წრეში ისინი ჯერაც ღონიერ „იუტა ჯაზს" შეხვდნენ, რომელიც ბოლო ხუთი წელი ამ ეტაპიდან არ გამოვარდნილა. „დალასი" სერიას 0:2 აგებდა, მაგრამ არ გატყდა, შემდეგი სამი მოიგო და დასავლეთის ნახევარფინალს უწია. იქ, მართალია, „სან ანტონიოსთან" 1:4 წაგო, მაგრამ ამისთვის არავის გაუკიცხავს. „მაიკლმა და დირკმა წლეულს ყველა გააოცეს, მაგრამ ეს არაა მათი მაქსიმუმი. ბიჭებმა იციან კალათბურთის თამაში" — ეს დონ ნელსონის სიტყვებია. დონი „დალასურად" აზროვნებს, გასაგებია, რაზეც ფიქრობს.

ირაკლი ფირაზვილი

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები. მურსია (ესპანეთი). 22-26 ივლისი

მურსიაში კარგად ვითამაშეთ

ღარიბის ოქროს სხვა ფასი აქვს



მურსიაში თავნასახელებნი. ზედა რიგში: ლაშა გუჯეჯიანი, გურამ მოდებაძე (მწვრთნელი), გიორგი შინჯიკაშვილი; ქვემოთ: თედორე აბელაშვილი, ჯარჯი ზვიადაური

ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის ოლიპიურ დღეებს (ეაოდ-ი) საფუძველი ზუსტად 10 წლის წინათ, 1991 წელს ჩაეყარა და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ეგიდითა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პატრონაჟით იმართება. თამაშების იდეის ავტორი და მთავარი სულისჩამდგმელი კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალარჩეული პრეზიდენტი, იმჟამად კი ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელი ბატონი ჟაკ როგი გახლდათ. ალბათ შემთხვევითიც არ ყოფილა, რომ პირველ თამაშებს სწორედ ბელგიელი დოქტორის სამშობლომ, კერძოდ კი ბრიუსელმა უმასპინძლა. სამწუხაროდ, მაშინ ქართველი სპორტსმენების ბელგიაში გამგზავრება ვერ მოხერხდა. საქართველო ეაოდ-ში პირველად 1993 წლის ვალენსიაარდის თამაშებიდან ჩაება და მას მერე მისი უცვლელი მონაწილეა.

წლეულს, 22-26 ივლისს ზაფხულის VI ოლიმპიურ დღეებს ესპანეთის პროვინციულმა ქალაქმა მურსიამ უმასპინძლა. 19 ივლისს საქართველოს მცირერიცხოვანმა, 24 კაციანმა დელეგაციამ გეზი მოსკოვისკენ აიღო, საიდანაც მეორე დღეს მადრიდში გადავფრინდით.

მადრიდის „ბარახას" აეროპორტში ჩასულთ მურსიამდე ავტობუსით 5-საათიანი მგზავრობა გველოდა და 21 ივლისს გამთენიასს როგორც იქნა საშინლად დაღლილ-დაქანცულებმა მურსიას მივაღწიეთ. სამვარსკვლავიან სასტუმრო „EL CCHURA VISTALEGRE"-ში დავბინავდით, სადაც მაკედონიისა და ლიხტენშტაინის დელეგაციებიც ცხოვრობდნენ.

22 ივლისს მთელი მურსია თამაშების გახსნის ცერემონიალის მოლოდინში იყო. ქალაქის ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად დაიარებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. ლაღობდნენ, ხარობდნენ და ერთმანეთს სამკერდე ნიშნებს უცვლიდნენ. ამ ჟრიამულში კი ვერსად მოკრავდით თვალს თურქეთის, კვიპროსისა და საბერძნეთის დელეგაციებს. როგორც მოგვიანებით მურსიაში გამართულ ევროპის ახალგაზრდა ჟურნალისტთა საერთაშორისო სემინარზე გაირკვა, ეს სამეული მურსიაში შეჯიბრებამდე რამდენიმე დღით ადრე გავრცელებულ ეპიდემიას შეუშინებია.

„მურსიის თამაშები ჩემი სოკ-ის პრეზიდენტად არჩევის მერე პირველი სერიოზული სპორტული ღონისძიებაა. იმედია, ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის, მაგრამ თურქეთისა და კვიპროსის მიერ თამაშებში მონაწილეობაზე უარის თქმა ჩემთვის ამოუხსნელ ამოცანად რჩება. მიზეზი, რაც მათ მოიყვანეს, გასამართლებელ საბუთად ვერ გამოდგება. თუ სხვა ქვეყნები ჩამოვიდნენ, ვერ გამიგია, თურქეთი და კვიპროსი რაღამ შეაშინა" — თქვა მურსიაში მყოფმა სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა.

თამაშებში 45 ქვეყნის 2 500-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრებები ეწყობოდა 10 სახეობაში — მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფეხბურთში, ხელბურთში, ტანვარჯიშში, ძიუდოში, ცურვაში, ჩოგბურთში, აფროსნობასა და ფრენბურთში. აქედან საქართველო მხოლოდ ძიუდოში (8 კაცი), ცურვაში (2), მძლეოსნობაში (2) და ჩოგბურთში (2) იყო წარმოდგენილი.

რაც შეეხება გახსნის ცერემონიალს, იგი საკმაოდ შთამბეჭდავი სანახავი გამოდგა. ოლიმპიური დროშა ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, მძლეოსანმა ანტონიო პენარველმა აღმართა, ოლიმპიური ცეცხლის დანთების პატივი წარსულში ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელს ხოსე ანტონიო კამაჩოს ერგო, თამაშები კი გახსნილად ჟაკ როგმა და მურსიის მერმა მიგელ ანხელ კამარამ გამოაცხადეს.

ასპარეზობის პირველ დღეს ქართველთაგან მხოლოდ მძლეოსნები ისვენებდნენ. მურსიაში ძირითადი აქცენტი, რა თქმა უნდა, ძიუდოზე გვქონდა გადატანილი, რამეთუ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეებიდან ჩვენი ჭაბუკი ძიუდოისტები უმეტესად არასოდეს დაბრუნებულან, 2 ოქრო, 6 ვერცხლი და 9 ბრინჯაო მოუპოვებიათ, ჰოდა ახლა რა ღმერთი გაუწყრებოდათ.

უკვე პირველივე დღეს მურსიის ძიუდოს დარბაზში საქართველოს ჰიმნი გუგუნებდა. მძიმეწონასანმა ლაშა გუჯეჯიანმა ჩვენს გუნდს პირველი ოქროს მედალი მოუტანა. მან ლიტველ, ბრიტანელ, ბულგარელ და უკრაინელ ძიუდოისტებს ერთი ამოსუნთქვით მოუგო და ჩემპიონობაც ღირსეულად მოიპოვა.

ფინალთან ძალზე ახლოს იყო თედორე აბელაშვილი (90კგ), მაგრამ ნახევარფინალში რუსთან, მოგვიანებით ჩემპიონი რომ გახდა, ოდნავი ყურადღების მოდუნება ძვირად დაუჯდა. არადა, თედორეს იგი მაისში ანკარის საერთაშორისო ტურნირზე სუფთად დაუმარცხებია. საბოლოოდ მან ბრინჯაო მოიპოვა.

წარმატებით ვადალახა პირველი ბარიერი ჩოგბურთელმა ლადო ჩიხლაძემ, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში შვედი დაამარცხა.

ანა სალნიკოვამ 200 მეტრზე ბრასით ცურვაში 22-ე ადგილი დაიკავა. ისე, სამართლე ითქვას, მოცურავეებისგან წარმატებას არც ველოდით. უბრალოდ, მათ გამოცდილება შეიძინეს, რაც მომავალში უსათუოდ წაადგებათ.

და კიდევ ერთი. ბატონი გოგი თოფაძე გახლდათ ის პიროვნება, ვინც თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით სპორტსმენები მედლების პირველი კომპლექტით დააჯილდოვა.

მადა ჭამაში მოდისო და, ჩვენც, წინა დღის გამარჯვებით შეგულიანებულებს მეორე დღეს ამაღლებული განწყობილება გვქონდა. რა თქმა უნდა, წარმატებებს კვლავ ძიუდოისტებისგან ველოდით, მაგრამ ორ ოქროს მედალს დიდი ოპტიმისტიც ვერ წარმოიდგენდა. ჯარჯი ზვიადაურმა (73კგ) და გიორგი შინჯიკაშვილმა (81კგ) ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლეს, გზად ყველა გადათელეს და საქართველოს ჰიმნმა კიდევ ორჯერ გაიჟღერა. „თუ მედალი ვერ ავიღე, საქართველოში აღარ ჩამესვლება. წამოსვლისას მთელი მარტყოფი მაცილებდა და თან მემუქრებოდნენ, უმედოდ ჩამოსული არ დაგინახოთ, თორემ მარტყოფში შენი ფეხი აღარ იქნებაო. სხვა გზა არა მაქვს, თავს შევაკლავ და მედალს მაინც ავიღებ" — მეუბნებოდა წინა დღეს გიორგი შინჯიკაშვილი და სიტყვა აასრულა კიდევაც. ფინალში ფრანგთან ბოლომდე იბრძოლა, მოწინააღმდეგეს არაფერი დაუთმო და იუკოთი იმარჯვა. „გამოგიტყდებით, ორ ოქროს ნამდვილად არ ველოდი, მაგრამ ბიჭებმა თავიანთი ჯიგარი ბოლომდე ჩადეს და აი შედეგიც" — მითხრა ძიუდოისტთა მთავარმა მწვრთნელმა ჯემალ ნათელაშვილმა.

დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ ეოკ-თა ვიცე-პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი, რომელმაც ჯარჯი ზვიადაური დაგვიჯილდოვა, ქართველ ძიუდოისტთა ასპარეზობით აღფრთოვანებული იყო. „ვიცოდი, რომ ქართველებს მაღალი კლასის მოჭიდავეები გყავდათ, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ძიუდოში ყველა მედალი თქვენ ხომ არ უნდა წაიღოთ, ცოტა ჩვენც დაგვიტოვეთ."

ბირთვის მკვრელმა ზურაბ გიგაიამ წარმატებით დასძლია საკვალიფიკაციო ეტაპი, ფინალურ სტადიაზე მეორე მაჩვენებლით (18,85მ) შევიდა. ზურაბი დიდ დროს სასტუმროში ატარებდა და შეჯიბრებასაც საკმაოდ მობილიზებული შეხვდა. სამწუხაროდ, არ გაუმართლა ზურას კოლეგას მარი ქევხიშვილს. იგი მონაწილეთა სიმცირის გამო ფინალურ ეტაპზე პირდაპირ დაუშვეს, მაგრამ მხოლოდ მე-8 ადგილს გამორჩა (12,30მ).

მეოთხედფინალს უწიეს ჩოგბურთელებმა. ანა უროტაძემ, რომელიც ტურნირზე მეორე ნომრად იყო განთესილი, მაკედონიელი ჩოგბურთელი დაამარცხა, ლადო ჩიხლაძემ კი ჰოლანდიელი დაიბრიყვა, შერეულთა თანრიგში კი ზედიზედ ორი შეხვედრა (შვეიცარიელებთან და სლოვაკებთან) მოიგეს და ნახევარფინალში გააღწიეს.

მოკლედ, ასპარეზობის მეორე დღე ჩვენთვის ძალზე იღბლიანი გამოდგა. ორი ოქრო დიდებულია! საერთო გუნდურ ჩათვლაშიც წინ მხოლოდ დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის გუნდები გავუშვით.

ნეტავი წარმატებისთვის ძიუდოს გარდა სპორტის სხვა სახეობაშიც მიგვაღწევინაო, ვნატრობდით წინა დღეს დელეგაციის წევრები და ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ეს ნატვრა აგვიხდა 25 ივლისს. ზურაბ გიგაია ბრინჯაოს დაეუფლა (18,73), მძლეოსნობა კი ძიუდოსა და ფეხბურთის შემდეგ გახდა სპორტის მესამე სახეობა, რომელშიც საქართველოს ევროპის ახალგაზრდობის თამაშებზე მედალი მოუპოვებია.

ზურაბი საკმაოდ ძლიერი ნებისყოფისა და საკუთარ თავში დაჯერებული სპორტსმენია. მურსიაში წარმატებას მწვრთნელის გარეშე მიაღწია, რაც ერთიორად დასაფასებელია და თუ შესაბამისი ხელშეწყობა იქნა, არ არის გამორიცხული, გეგაია ათენის ოლიმპიურ თამაშებზეც ვახილოთ.

22 ივლისს ბინდია ნამცურის (44-ელი, 60კგ) 6 წელი შეესულდა და დაბადების დღეს თავ[illegible] ესპანეთში შეხვდა[illegible] ოქროს მედალზე უკეთესი საჩუქარი რა უნდა ეძღვნა? „ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემპიონი გავხდები. დაბადების დღეს რომ თავი დავანებოთ, სამშობლო მინდა ვასახელო" — მითხრა. მინდიამ ჯერ კიდევ თბილისის აეროპორტში და... გუნდს მეოთხე ოქროს მედალი მოუტანა.

სამწახაროდ მარცხენა ფეხზე ადგნენ ჩვენი ჩოგბურთელები. მათ ყველაფერი წაგვეს, რისი წაგებაც შეიძლებოდა. ლადო ჩიხლაძე ესპანელ ალმაგროსთან პირწმინდად განადგურდა (1:6 1:6), არადა, მატჩის დასაწყისი ასეთ დასასრულს ნამდვილად არ გვიქადდა. ანა უროტაძე იტალიელ მეტოქეს დაეჩაგვრინა (1:6 1:6). შერეულთა თანრიგში კი ჩეხებთან დამარცხდნენ (2:6 1:6).

ამრიგად ასპარეზობის ბოლოსწინა დღეს 4 ოქროსა და 2 ბრინჯაოს მედალი დაგვიგროვდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში კი წინ მხოლოდ პოლონეთი გავუშვით.

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეების უკანასკნელი დღე ჩვენთვის უიღბლო გამოდგა. წარმატებებით განებივრებულნი ამჯერადაც მედლების მოლოდინში ვიყავით, მით უფრო, რომ მინიმუმ ერთი ბრინჯაოთი ქართული ყულაბის შევსების შანსი ნამდვილად გვქონდა.

მატე წონებში დავით ავალიანმა (50კგ) და დავით სვიმონიშვილმა (55კგ) თავი ვერაფრით ისახელეს. ამ უკანასკნელს III პრიზიორობა კი შეეძლო, მაგრამ...

აი, ჩოგბურთელებმა კი...

ასეთი რამ ჩოგბურთში იშვიათად ხდება და ისიც ჩვენ დაგვემართა. აბა სასწაული არ არის, პირველი 6:3 მოგებული სეტის შემდეგ მეორეში 5:1 ოგებდე და საბოლოო ჯამში წააგო. ბრინჯაოს მედლებისთვის მატჩში უროტაძე-ჩიხლაძის წყვილმა იტალიელ მეტოქეებს მედლები საკუთარი ხელით მიართვეს. მატჩის შემდეგ იტალიელები გაოცებისგან პირდაღებულნი შემოგვჩერებოდნენ.

დღის ბოლოს კი თამაშების დახურვის ცერემონიალი გაიმართა და ახალი ათასწლეულის პირველი, რიგით კი VI ევროპის ზაფხულის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები ისტორიის კუთვნილება გახდა.

ორგანიზაციის მხრივ მცირედი ლაფსუსები კი შეინიშნებოდა, მაგრამ პატარა ხარვეზები ხომ ასეთი მასშტაბის ნებისმიერ სპორტულ ღონისძიებას სდევს.

რაც შეეხება მურსიის თამაშებში ქართველ სპორტსმენთა ასპარეზობას, იგი მხოლოდ ერთი სიტყვით შეიძლება შეფასდეს — ბრწყინვალე. ჩვენნაირმა ღარიბმა და პატარა ქვეყანამ ასეთ დიდ სპორტულ ფორუმზე საერთო გუნდურ ჩათვლაში დაიკავა მეათე ადგილი და უკან ჩამოიტოვა საფრანგეთი, ჰოლანდია, ირლანდია, ბელგია, შვეიცარია და სხვა ქვეყნები. ძიუდოში კი სულაც პირველი გუნდური ადგილი დავიკავეთ, ჩვენს უკან კი მოექცნენ რუსეთი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და ა.შ.

მოკლედ, მურსიაში საქართველო ყველა წინა თამაშებზე უკეთ წარმოჩნდა. წინ კი 2003 წლის პარიზის თამაშებია.

ანა ბერიძე

სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი თოგაი ბაიათლი და სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი გოგი თოფაძე



ლაშა გუჯეჯიანი და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ვიცე-პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი

სარბიელი

სპორტული ლატარია კროკო

გერმანია. ბუნდესლიგა. მე-2 ტური

4 აგვისტო

18.30	001	ბაიერნი-შალკე	1,6	3,3	5,3
18.30	002	ვოლფსბურგი-ზანქტ პაული	1,5	3,5	6,0
18.30	003	ჰერტა-დორტმუნდი	2,3	2,9	3,0
18.30	004	ვერდერი-კოტბუსი	1,5	3,5	6,0
18.30	005	ჰამბურგი-შტუტგარტი	1,8	3,1	4,0
18.30	006	კიოლნი-მიუნხენი	1,9	3,1	3,6
18.30	007	ჰანზა-ლევერკუზენი	2,7	3,0	2,4

5 აგვისტო

20.30	008	ნიურნბერგი-ფრაიბურგი	2,4	3,0	2,7
20.30	009	კაიზერსლაუტ.-გლადბახი	1,6	3,4	5,0

გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-2 ტური

3 აგვისტო

21.00	010	შვაინფურტი-ზაარბრიუკენი	2,4	3,0	2,7
22.00	011	ალენი-ფიურტი	1,95	3,1	3,5
22.00	012	ობერჰაუზენი-უნიონი	1,8	3,1	4,0

4 აგვისტო

18.00	013	როიტლინგენი-არმინია	1,8	3,1	4,0
18.00	014	ბოხუმი-კარლსრუე	1,6	3,4	5,0

5 აგვისტო

18.00	015	ბაბელსბერგი-დუისბურგი	2,1	3,2	3,1
18.00	016	ჰანოვერი-ალემანია	1,85	3,2	3,6
18.00	017	მაინცი-უნტერჰახინგი	2,5	3,0	2,5

6 აგვისტო

23.15	018	ვალდჰოფი-აინტრახტი	2,4	3,0	2,7

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.). მე-2 ტური

3 აგვისტო

22.30	019	ვატენშაიდი-დიუსელდორფი	1,75	3,2	4,0
22.30	020	ლიუბეკი-პადერბორნი	1,35	3,8	7,0

4 აგვისტო

17.00	021	ლევერკუზენი (მ)-აუე	2,5	3,0	2,5
17.00	022	ურდინგენი-ფორტუნა	1,75	3,2	4,0
17.00	023	მაგდებურგი-მიუნსტერი	2,3	3,1	2,8
17.00	024	ფერლი-კილი	1,5	3,5	6,0
17.00	025	ესენი-ბრაუნშვაიგი	2,4	3,1	2,6
17.00	026	ქემნიცი-დრეზდენი	1,55	3,5	5,3
17.00	027	ოსნაბრიუკი-ვერდერი (მ)	1,4	3,6	6,5

გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.). მე-2 ტური

3 აგვისტო

21.30	028	ერფურტი-ვეჰენი	1,9	3,1	3,5
22.00	029	ელვერსბერგი-ტრიერი	2,6	3,1	2,4
22.00	030	ოფენბახი-შტუტგარტი (მ)	1,85	,31	3,8

4 აგვისტო

17.30	031	ფულდა-მანჰაიმი	2,5	3,0	2,5
17.30	032	რეგენსბურგი-ანსბახი	1,55	3,5	5,3
18.00	033	ჰოფენჰაიმი-დარმშტადი	2,7	3,0	2,4
18.00	034	კიკერსიOბურგჰაუზენი	1,4	3,6	6,5

5 აგვისტო

18.00	035	ზიგენი-აალენი	2,1	3,1	3,2
18.00	036	ბაიერნი (მ)-კაიზერსლ. (მ)	1,65	3,3	4,7

საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-2 ტური

3 აგვისტო

23.45	037	მარსელი-ბორდო	2,2	2,9	3,0

4 აგვისტო

20.15	038	ნანტი-ლანსი	1,6	3,2	5,6
23.00	039	სოშო-რენი	2,0	3,0	3,5
23.00	040	მონაკო-მონპელიე	1,5	3,5	6,0
23.00	041	მეცი-ტრუა	2,1	2,9	3,4
23.00	042	ლიონი-სედანი	1,6	3,2	5,6
23.00	043	ლილი-ლორიანი	1,55	3,3	6,0
23.00	044	გენგამი-ბასტია	2,0	2,9	3,6
23.00	045	ოსერი-პსჟ	2,4	2,9	2,8

საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-2 ტური

4 აგვისტო

23.00	046	სტრასბური-ნიცა	1,5	3,4	6,5
23.00	047	ნიორი-ლე ავრი	2,0	2,8	3,8
23.00	048	ნიმი-მარტიგი	1,7	2,9	5,3
23.00	049	ნანსი-ამიენი	1,5	3,4	6,5
23.00	050	ლავალი-ისტრი	1,7	3,0	5,0
23.00	051	გრენობლი-ლე მანი	1,95	2,8	4,0
23.00	052	შატორუ-აიაჩო	1,65	3,0	5,6
23.00	053	კაენი-ვასკეალი	1,85	2,9	4,2
23.00	054	ბოლე-გენიონი	2,3	2,9	3,0

5 აგვისტო

23.45	055	კრეტეი-სენტ ეტიენი	2,6	2,8	2,6

ჩეხეთი. მე-2 ტური

3 აგვისტო

19.30	056	იაბლონეცი-სლავია	3,6	3,2	1,85

4 აგვისტო

21.30	057	ჰ.კრალოვე-სპარტა	6,5	4,0	1,4

5 აგვისტო

13.15	058	ჟიჟკოვი-ტეპლიცე	1,95	3,1	3,5
13.15	059	დრნოვიცე-ბანიკი	1,8	3,2	3,6
19.30	060	ლიბერეცი-ბლშანი	1,65	3,3	4,7
19.30	061	ოპავა-სინოტი	2,3	3,0	2,9
19.30	062	პრჟიბრამი-ბოჰემიანსი	1,7	3,1	4,7
19.30	063	სიგმა-ბრნო	1,4	3,8	7,0
	064	სიგმა-ბრნო 0:1	2,0	3,0	2,4

პოლონეთი. მე-3 ტური

3 აგვისტო

22.00	065	რუხი-ლეგია	2,3	3,0	2,9

4 აგვისტო

20.30	066	ვიძევი-ვისლა	3,6	3,1	1,9
20.00	067	პოლონია-კატოვიცე	1,3	4,0	7,5
	068	პოლონია-კატოვიცე 0:1	1,9	3,2	2,6
20.30	069	რადომსკო-გროცლინი	2,2	3,0	3,1
20.00	070	ამიცა-პოგონი	1,95	3,0	3,6
20.00	071	შლიონსკი-სტომილი	1,6	3,3	5,3

5 აგვისტო

20.00	072	ოდრა-გურნიკი	1,75	3,2	4,0

შოტლანდია. პრემიერლიგა. მე-2 ტური

4 აგვისტო

19.00	073	დანდი-ჰიბერნიანი	2,7	3,0	2,4
19.00	074	ჰართსი-აბერდინი	1,7	3,2	4,4
19.00	075	მოზერუელი-დანდი იუნ.	2,2	3,1	3,0
19.00	076	რეინჯერსი-ლივინგსტონი	1,15	5,6	10,0
	077	რეინჯერსი-ლივინგსტონი 0:1	1,5	3,5	3,5
19.00	078	სტ.ჯონსტონი-დანფერმლაინი	2,1	3,1	3,2
21.35	079	კილმარნოკი-სელტიკი	5,6	3,6	1,5

შოტლანდია. I დივიზიონი. 1-ლი ტური

4 აგვისტო

19.00	080	ეირდრი-რეითი	2,2	3,1	3,0
19.00	081	კლაიდი-ინვერნესი	2,5	3,0	2,5
19.00	082	ფალკირკი-ეირი	2,4	3,2	2,5
19.00	083	პარტიკი-სენტ მირენი	2,5	3,2	2,4
19.00	084	როსი-არბროა	1,8	3,3	3,6

შოტლანდია. II დივიზიონი. 1-ლი ტური

4 აგვისტო

19.00	085	ბირუიკი-ალოა	2,4	3,2	2,5
19.00	086	ფორფარი-კლაიდბენკი	2,3	3,2	2,7
19.00	087	ჰამილტონი-ქუინი	2,0	3,3	3,2
19.00	088	მორტონი-სტენჰაუზმური	2,0	3,3	3,2
19.00	089	სტრანრარი-კოუდენბითი	1,75	3,4	3,6

შოტლანდია. III დივიზიონი. 1-ლი ტური

4 აგვისტო

19.00	090	დამბარტონი-ბრეჩინი	2,5	3,2	2,4
19.00	091	ისტ ფაიფი-ალბიონი	1,8	3,1	3,6
19.00	092	ოლჯინი-ისტ სტირლინგი	2,5	3,0	2,5
19.00	093	მონროუზი-ქუინზ პარკი	2,6	3,3	2,3
19.00	094	სტირლინგი-პიტერჰედი	1,75	3,4	3,6

ავსტრია. მე-6 ტური

4 აგვისტო

22.30	102	ადმირა-აუსტრია	3,2	3,2	1,85
22.30	103	კერნტენი-ბრეგენცი	1,8	3,2	3,8
22.30	104	რიდი-ზალცბურგი	1,9	3,2	3,5

5 აგვისტო

19.30	105	რაპიდი-გრაცერი	1,75	3,1	4,2

შვეიცარია. A ჯგუფი. მე-6 ტური

4 აგვისტო

20.30	106	აარაუ-ციურიხი	2,4	3,0	2,7
20.30	107	გრასჰოპერი-სენტ გალენი	1,6	3,3	5,3
22.30	108	ლუგანო-ლოზანა	1,8	3,1	4,0
22.30	109	ლუცერნი-სერვეტი	2,5	3,2	2,4
22.30	110	ქსამაქსი-ბაზელი	2,3	3,0	2,9
22.30	111	იანგ ბოისი-სიონი	2,3	3,0	2,9

შვეიცარია. B ჯგუფი. მე-6 ტური

4 აგვისტო

20.30	113	კონკორდია-ვადუცი	1,85	3,0	4,0
20.30	114	დელემონი-ივერდონი	1,85	3,1	3,8
20.30	115	კარუჟი-ბელინცონა	2,1	3,0	3,1
20.30	116	ლოკარნო-ვინტერთური	2,8	3,1	2,3
20.30	117	თუნი-კრინსი	1,7	3,3	4,2
22.30	118	ვილი-ბადენი	2,3	3,0	2,9

დანია. მე-3 ტური

5 აგვისტო

18.00	119	ოლბორგი-აკადემისკი	1,7	3,3	4,2
18.00	120	ბრიონდბიუ-ოდენსე	1,45	3,6	6,5
	121	ბრიონდბიუ-ოდენსე 0:1	2,0	3,2	2,3
18.00	122	ესბიერგი-ვაილე	1,85	3,3	3,5
18.00	123	ვიბორგი-ორჰუსი	1,75	3,3	3,8
20.05	124	მიდტიულანდი-კოპენჰაგენი	2,7	3,2	3,3

6 აგვისტო

22.00	125	სილკებორგი-ლიუნგბიუ	2,0	3,3	3,2

რუსეთი. მე-20 ტური

4 აგვისტო

17.00	127	სატურნი-ჩერნომორეცი	1,55	3,4	5,6
17.00	128	ზილ-სპარტაკი	5,0	3,4	1,6
17.00	129	როსტსელმაში-როტორი	1,8	3,0	4,2
17.00	130	ტორპედო-ანჟი	1,8	3,0	4,2
17.00	131	ფაკელი-სოკოლი	2,4	2,9	2,8
17.00	132	ალანია-ცსკა	2,5	3,0	2,5

5 აგვისტო

17.00	133	დინამო-ზენიტი	2,4	2,9	2,8

შვედეთი. მე-16 ტური

4 აგვისტო

19.00	135	ჰალმსტადი-აიკ	1,95	3,1	3,5

5 აგვისტო

20.00	136	იურგორდენი-ჰეკენი	1,45	3,5	6,0
20.00	137	სუნდსვალი-იორგრიტე	2,8	3,1	2,2
20.00	138	გიოტებორგი-ელფსბორგი	1,6	3,4	5,0

6 აგვისტო

22.00	139	ნორჩიოპინგი-ჰამარბი	2,6	3,1	2,4
22.00	140	ტრელებორგი-იორებრო	2,4	3,2	2,5
22.00	141	ჰელსინგბორგი-მალმიო	1,9	3,1	3,6

ნორვეგია. მე-17 ტური

4 აგვისტო

22.00	142	რუსენბორგი-მოსი	1,25	4,4	8,0
	143	რუსენბორგი-მოსი 0:1	1,8	3,3	2,8

5 აგვისტო

21.00	144	ბოდიო გლიმტი-ლინი	1,7	3,2	4,4
21.00	145	ბრანი-სტრიომგოდსეტი	1,3	4,0	7,5
	146	ბრანი-სტრიომგოდსეტი 0:1	1,9	3,2	3,6
21.00	147	ლილესტრიომი-ოდ გრენლ.	1,6	3,3	5,3
21.00	148	მოლდე-ტრომსიო	1,55	3,2	5,6
21.00	149	სტაბეკი-სოგნდალი	1,45	3,6	6,5
	150	სტაბეკი-სოგნდალი 0:1	2,0	3,2	2,3
21.00	151	ვიკინგი-ბრინი	1,3	4,0	7,5
	152	ვიკინგი-ბრინი 0:1	1,9	3,2	2,6

ფინეთი. 24-ე ტური

5 აგვისტო

18.00	158	მიუპა-ტამპერე	1,9	3,2	3,5
18.00	159	ატლანტისი-ჰიკ	2,8	3,1	2,2
20.30	160	ვაასა-ჯაზი	1,65	3,3	4,2
20.30	161	ინტერი-როვანიემი	1,55	3,3	5,3
20.30	162	კუოპიო-ჰაკა	2,7	3,1	2,3

ბელგია. სუპერთასი

4 აგვისტო

23.00	163	ვესტერლო-ანდერლეხტი	3,0	3,3	2,1

ტურში გატანილი გოლები

4 აგვისტო

18.30 701 გერმანია (1-ლი)
24 და ნაკლები – 1,9; 26 და მეტი – 1,9

3 აგვისტო

23.45 702 საფრანგეთი (მე-2)
22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9

3 აგვისტო

19.30 703 ჩეხეთი (მე-2)
19 და ნაკლები – 1,9; 21 და მეტი – 1,9

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გურჯაანში

გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო. მისამართი: დავით გურამიშვილის ქუჩა №28

1 აგვისტოდან კროკო ხუთშაბათობითაც მუშაობს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათი იქნება. სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
გორი	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	ფიროსმანის ქუჩა № 7ᵃ	
ქობულეთი	აღმაშენებლის ქუჩა №106	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

არმსტრონგი ისევ სიზმარშია

იოჰან ბრიუნელი: არმსტრონგი „ტურებს“ არ ითვლის

— თავისი პირველი გამარჯვების შემდეგ ლენსი ძალიან შეიცვალა?

— ის ახლა გაცილებით ძლიერია, უფრო მეტი და უკეთ ივარჯიშა. სულ მცირე დეტალებსაც კი ყურადღება დაუთმო. არა, ნამდვილად შარშანდელზე ძლიერია, 1999 წელთან კი შედარებაც არ შეიძლება.

— როგორ ფიქრობთ, შეუძლია ოთხი ან თუნდაც ხუთი „ტურის“ მოგება?

— ეს შესაძლებელია, მაგრამ უპირველესი მიზანი არ არის. ის იმიტომაა მრბოლი, რომ მოსწონს. როგორც კი ტურნირებისგან სიამოვნებას ვეღარ მიიღებს, მაშინვე თავს დაანებებს აქტიურ სპორტს. ეს ნებისმიერ მომენტში შეიძლება მოხდეს, ასე რომ, ხუთგზის ჩემპიონობა საეჭვოა.

— ამბობენ, არმსტრონგმა „ტურის“ დაწყებამდე ბევრჯერ გაიარა მისი გზა უკეთ გასაცნობადო. მართალია?

— ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი დიუნკერკის პროლოგამდე ძირისძირამდე შევისწავლეთ.

— ამიტომ გაიმარჯვეთ?

— ესეც დაგვეხმარა. თუმცა გამარჯვებისთვის მთავარი მისი ტალანტი, ნება და შრომისმოყვარეობაა.

— იან ულრიხის გამოსვლაზე რას ფიქრობთ?

— მგონი, ეს მისი საუკეთესო „ტური“ იყო. 1997 წელს მან ერთი მაღალმთიანი ეტაპი და ერთიც ინდივიდუალური რბოლა მოიგო, დანარჩენ ეტაპებზე მე-5, მე-6, მე-7 ადგილებზე გადიოდა. წლეულს კი მუდმივად არმსტრონგის შემდეგ ამთავრებდა გზას. იგი მშვენიერ ფორმაში იყო, რაც არმსტრონგის გამარჯვებას კიდევ უფრო მეტ ელვარებას სძენს.

— პონტარლიეს ეტაპზე 35 წუთის წაგების შემდეგ შიში ხომ არ შეგეპარათ?

— სრულებითაც არა, წუთითაც არ ავნერვიულებულვართ. მართალია, ანდრეი კივილევი კარგი მთიელია, მაგრამ ის ხომ არ გვიგებდა 35 წუთს. სტიუარტ ოგრედისა და ფრანსუა სიმონათან კი ამ ჩამორჩენის გაბათილება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

ორიოდ დღეა, 8ზ-ე „ტურ დე ფრანსი“ დასრულდა. ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა ზედიზედ მესამედ იჩემპიონა, რაც ნამდვილი გმირობაა. რა თქმა უნდა, „ტური“ სამჯერ და მეტჯერ აქამდეც მოუგიათ, მაგრამ არმსტრონგი მაინც გამორჩეულია, რადგან ოთხი წლის წინ მან კიბოს დამარცხებაც შეძლო. გთავაზობთ მისი გუნდის, „პოსტალის“ სპორტული დირექტორის იოჰან ბრიუნელის და თავად არმსტრონგის ტურისშემდგომ ინტერვიუებს.

პარიზის ქუჩებში ტრიუმფით გავლისას ლენს არმსტრონგს (მარცხნივ) გვერდით სპორტული დირექტორი იოჰან ბრიუნელიც მიჰყვებოდა

ლენს არმსტრონგი: „ტური“ ჩემთვის ყველაფერია

— ლენს, რას გრძნობთ „ტურ დე ფრანსის“ ზედიზედ მესამედ მოგების შემდეგ?

— ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ესაა: ფავორიტობისთვის უფრო მომზადებული ვიყავი. ამ „ტურზე“ გაცილებით მეტად ვისიამოვნე, ვიდრე წინა წლებში. ჩემი თანაგუნდელებიც იგივეს ფიქრობენ. არ ვიცით, რატომ, მაგრამ ასეა.

— თქვენ დაამარცხეთ კიბო, შემდეგ დაუბრუნდით სპორტს. წლეულს კი თითქმის ინტერესი დაუკარგეთ „ტურს“. როგორ შეაფასებდით ამ „აფეთქებას“?

— მესმის თქვენი კითხვა, მაგრამ მე უბრალოდ ჩემს საქმეს ვაკეთებ. გუნდი ჩემგან „ტურის“ მოგებას მოითხოვს და მეც ამისთვის თავს დავდებ. სამი კვირის განმავლობაში მაქსიმალურად კონცენტრირებული უნდა ვიყო მიზნის მისაღწევად, დანარჩენი უმნიშვნელოა. მთავარია, იმედები გავუმართლო ახლობლებს.

— წლევანდელი გამარჯვება დანარჩენი ორისგან განსხვავებულია?

— საფრანგეთში მოპოვებული სამივე გამარჯვება ერთმანეთისგან ერთობ განსხვავდება. თუმცა წლევანდელი, ალბათ, მაინც ყველაზე სასიამოვნო იყო, თავი უფრო ძლიერად ვიგრძენი. „ტურ დე ფრანსი“ ჩემთვის ყველაფერია. ის მსოფლიოში ყველაზე დიდი და პრესტიჟული შეჯიბრია. არა აქვს მნიშვნელობა, პარიზში ცხოვრობ, ნიუ იორკში თუ ჩემს მშობლიურ ოსტინში, ტეხასის შტატში, „ტურის“ მნიშვნელობას ყველგან შეიგრძნობ. ეს უდიდესი მოვლენაა, რომლის გამოტოვებაც უაზრობაა, თუ, რა თქმა უნდა, ველოსპორტი ოდნავ მაინც გაინტერესებთ.

— როგორ ახერხებთ წლიდან წლამდე ფორმის გაუმჯობესებას?

— მე მგონი, ლოგიკურია ფორმის გაუმჯობესება სპორტსმენისთვის, როდესაც გამარჯვება სიურპრიზად რჩება. უწინდებურად გაოცებული ვარ. თუმცა მიუწვდომლად თავი არასოდეს მიგრძვნია. მით უმეტეს, რომ შეიძლება ისევ დამემართოს რაიმე და ისევ სიკვდილის პირას მივიდე. ამის გაგებით ყოველ დილით თითქოს ახლიდან ვიწყებ ცხოვრებას, თითქოს წარსული არც ყოფილა, მხოლოდ მომავალზე ვფიქრობ, ოღონდ ეს ერთადერთი ფიქრია, დაუმარცხებელი ვარ-მეთქი.

— პოდიუმზე დგომისას რაზე ფიქრობდით?

— თითქმის არაფერზე, უბრალოდ, ძალიან ბედნიერი ვიყავი.

— როდის იგრძენით, რომ „ტურზე“ უძლიერესი იყავით?

— ოთხჯერ თუ ხუთჯერ ვიგრძენი. პირველად ლ'ალპ დ'უეზის აღმართში, შემდეგ გრენობლიდან შამრუსამდე გამართულ ინდივიდუალურ რბოლაში. და საერთოდ, როცა რბოლა რთულდებოდა და წინ რამდენიმე კაცილა უნდა დარჩენილიყო, ყოველთვის კარგად ვგრძნობდი თავს. ჩემი შედეგები ამის დასტურია.

— ამ სეზონში სად აპირებთ გამოსვლას?

— ველო ჩემი ხელობაა და „ტურ დე ფრანსი“ მუდამ მთავარი მიზანი იქნება. დანარჩენ შეჯიბრებებს ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებ. წლეულს შეიძლება „ვუელტაშიც“ მივიღო მონაწილეობა, რათა ჩემს თანაგუნდელ რობერტო ერასს „ტურზე“ ჩემი გრეგარობისთვის სამაგიერო გადავუხადო და გარემჩიონებაში დავეხმარო. მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ნაღდად არ ვირბოლებ. გაისად შეიძლება „ჯიროშიც“ მივიღო მონაწილეობა, მაგრამ არა იმიტომ, რომ უბრალოდ „ტურისთვის“ მოვემზადო, არამედ ვეცდები, იტალიაშიც მოვიგო, როგორც ლეგენდარული მრბოლები — მერქსი, ანკეტილი, ინო აკეთებდნენ.

— მათსავით ხუთი „ტურის“ მოგებას თუ გეგმავთ?

— მთელი გულახდილობით გეტყვით, რომ არა. თუ გაისად ვეღარ შევძელი გამარჯვება ან რბოლისგან სიამოვნება ვეღარ მივიღე, კარიერას დავასრულებ, რადგან ვფიქრობ, რომ მერქსისა და მისნაირების გვერდით ჩემი მოხსენიება მაინც არ შეიძლება. თუმცა გაისად აქ ისევ დავბრუნდები და გამარჯვებისთვისაც ვიბრძოლებ.

— უახლოესი გეგმები?

— ვეცდები, მოვეშვა, დავისვენო და

ავსტრალიური ტვინის დინება

თუ კანონი არ მიახმარეს, ედი ჯონსმა „ვოლაბების“ ჯილდოთა ამ კოლექციას ეგებ ვერც შემატოს რამე

„ტიმ ლეინის საქმე“, როგორც უკვე დაერქვა მას ავსტრალიაში, მალე შეიძლება იურისტების მსჯელობის საგანიც გახდეს და მწვანე კონტინენტის კანონმდებლობაშიც ახალი კანონი გაჩნდეს.

„ვოლაბების“ მთავარ მწვრთნელ როდ მაკქეინის თანაშემწე 1999 წლის მსოფლიოს თასზე ტიმ ლეინი შარშან ფრანგულ „მონფერანს“ წვრთნიდა, ამჟამად კი სამხრეთ აფრიკის ნაკრების თავკაც ჰარი ფილიონის დამხმარეა. მისი ეს არჩევანი ავსტრალიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას დიდად არ ეჭაშნიკა და გასაგებიცაა, რატომ.

რა უნდა გაკეთდეს, რომ ტვინის გადინება შეწყდეს?

ამ პრობლემის წინაშე დგას დღეს ავსტრალიის რაგბის კავშირი. საკითხი დღის წესრიგში ლეინის გადაწყვეტილების შემდეგ არ დადგარა. მანამდეც ყოფილა შემთხვევები ავსტრალიელ მწვრთნელთა სახღვარგარეთ წასვლისა. თვით მაკქეინის სამხრეთ აფრიკაში გადასვლაზეც კი იყო საუბარი, რადგან იგი ფილიონის მეგობარი ყოფილა.

უბრალოდ, გასულ შაბათს „ვოლაბებმა“ სამი ერის ჩემპიონატში „ქურციკებთან“ წააგეს მეორე ტურის მატჩი 15:20) და პროტესტის ახალი ტალღაც ამან გამოიწვია. ავსტრალიელ რაგბის მამებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ, რაც შეიძლება შეამცირონ ტვინის გადინება და თავიანთი ნაკრების საიდუმლოებების „გაბაზრება“, რათა „ვოლაბების“ კონკურენტებმა მომავალშიც არ იხეირონ ამით.

ავსტრალიის რაგბის კავშირის გენერალურმა დირექტორმა ჯონ ონილმა საინფორმაციო სააგენტო „ფრანს-პრესთან“ საუბარში განაცხადა: „აუცილებელია „ვოლაბების“ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. ვის გაუხარდება, მისი ნაკრების მთავარი მწვრთნელი წავიდეს და მთელი საიდუმლოებანი მეტოქე გუნდის თავკაცებს ჩაუკაკლოს?!“

შესაბამისად, გასაკვირი აღარაა, რომ ოზები კანონის მიღებას ცდილობენ, რომლის მიხედვითაც მათი უმთავრესი გუნდის დამრიგებელს პოსტის დატოვებიდან გარკვეული დროის მანძილზე (სავარაუდოდ ერთი წლით) აეკრძალება რომელიმე უცხო ქვეყნის ნაკრებში ნებისმიერი სახის სამუშაო ადგილის დაკავება. ჯონ ონილმა აღნიშნა, რომ მათი ერთ-ერთი თანამშრომელი, ჯეფ მილერი ამ პროექტის დეტალებზე მუშაობს.

„ვოლაბების“ ახალ თავკაც ედი ჯონსს ძალიან არ ესიამოვნა თავის სადებიუტო მატჩში განცდილი მარცხი და ეს ნაწილობრივ ლეინის ფილიონისთვის გაწეულ რეკომენდაციებსაც დაბრალა. თანაც ჩვენი ანდაზის მსგავსი აზრი გამოთქვა, ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი თუ დაიჭერსო.

„ვოლაბთა“ ახალმა თავკაცმა მსაჯიც არ დაივწყა და მისი წილი პასუხისმგებლობა ირლანდიელ არბიტრ დევიდ მაკჰიუსაც დააკისრა. ჯონსმა ევროპელ მსაჯს პირველ რიგში ჩრდილოელებსა და სამხრეთელებს შორის რაგბის წესების ინტერპრეტაციაში არსებული განსხვავებების გამო შეუტია. „რაც ჩრდილოეთ ნახევარსფეროს მსაჯებთან ურთიერთობისას გვჭირდება, ესაა მატჩამდე ერთად დასხდომა და თამაშის სხვადასხვა სიტუაციის, განსაკუთრებით შებოჭვების, ერთად განხილვა. მათ გარკვევით უნდა აგვიხსნან, რის უფლებას გვაძლევენ და რისას არა“ — განაცხადა ჯონსმა.

იტალიაში ჯონსტონის აღარ სჯერათ

იტალიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმა „სკუადრა აძურას“ სათავეში 1999 წელს ახალზელანდიელი მწვრთნელი ბრედ ჯონსტონი ჩააყენეს და მისი დიდი იმედიც ჰქონდათ. აქაოდა, „შავების“ ქვეყნიდანაა და ნაკრებს სანაქებოდ გაგვიწვრთნისო.

ჯონსტონმაც საიმედოდ დაიწყო და ტესტში საქართველოს განადგურებას ექვსი ერის პირველი ჩემპიონატის პირველივე მატჩში შინ შოტლანდიის სენსაციური ძლევა მოუნაცვლა. გაიხარეს იტალიელებმა, ავშენდით, ეს ვინ გვიპოვიაო. თუმცა აპენინელთა ეიფორია ნაადრევი გამოდგა.

იქიდან მოყოლებული იტალიის ნაკრებს რაიმე მნიშვნელოვანი გამარჯვებისთვის აღარ მიუღწევია. მეტიც, რამდენიმე „ღირსეულ წაგებას“ არანაკლები რაოდენობის განადგურება მოჰყვა. ბოლოს „ქურციკებმა“ შეარცხვინეს ჯონსტონის შეგირდები, როცა 30 ივნისს სამხრეთ აფრიკაში 60:14 გაანადგურეს მეტად საშუალო დონის თამაშით. შესაბამისად, იტალიის რაგბის კავშირში უკვე დაიწყეს ლაპარაკი ახალზელანდიელის შეცვლაზე და თუ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა, ჯონსტონს მალე მოუწევს თანამდებობის დატოვება.

მის შემცვლელად ფრანგი კრისტიან ლანტა ივარაუდება, რომელიც ამჟამად ფრანგულ „აჟანში“ მუშაობს, ადრე კი იტალიური ტრევიზოს „ბენეტონი“ გაუწვრთნია. აპენინელები მას რამდენჯერმე უკვე დაკავშირებიან, მაგრამ ჯერჯერობით საბოლოო შეთანხმების მიღწევა არ ხერხდება.

ლანტას გარდა მეორე ფრანგ ჟაკ ბრიუნელს და სამხრეთაფრიკელ ჯანი ბრედტსაც ასახელებენ. თუმცა ჯონსტონის ადგილას ლანტას დანიშვნა უფროა მოსალოდნელი.

გაგი გურული

მონრეალი დაიქცა

მაროკოელმა ჰიშამ არაზიმ ლეიტონ ჰიუიტის დამარცხებით მცირე სენსაცია მოახდინა

მონრეალი. „მასტერსი“
ჰარდი. საპრიზო 2,95 მილიონი $

კანადურ ქალაქ მონრეალში გახურებული „მასტერსის“ ტურნირი დღითი დღე ღარიბდება. არა, აქ სამ მილიონ დოლარს მიღწეულ საპრიზო ფონდს არ ვგულისხმობთ. ამ თანხას ცენტი არ მოაკლდება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ეს ფული მთლიანად ტურნირში მონაწილე მეჩოგნეთა ჯიბეში გაუჩინარდება. ტურნირი თვალსა და ხელს შუა კარგავს ბობოლებს. პირველ წრეში ბოგანოებთან ჭიდილში გავარდნილ ორ რუსს — ევგენი კაფელნიკოვს და მარატ საფინს, აგრეთვე ორ ამერიკელს — პიტ სამპრასს და ანდრე აგასის მეორე წრეში კიდევ ერთი ექსპირველი ჩოგანი, ესპანელი კარლოს მოიაც მიჰყვა. მოიას გული არ უნდა დასწყდეს, იგი ამერიკელი ამომავალი ვარსკვლავის, ენდი როდიკის ამბიციურ გეგმებს ემსხვერპლა. 18 წლის როდიკი წლეულს პირველ ორმოცეულში შევიდა, თუმც ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ამ ჯეელს გულში ამოუჭრია და თუ ასე გააგრძელა, მიაღწევს კიდეც.

მომქანცველი ორსაათიანი თამაშისას კარლოს მოიამ ყველაფერი გამოიყენა, რაც არსენალში მოეძებნება. ერთი სეტი მოიგო, მაგრამ ვინაიდან ორი წააგო, იძულებული გახდა, მონრეალისთვის ხელი დაექნა. გადამწყვეტ, ნერვებისდამწყვეტ მესამე სეტში როდიკი 5:4 დაწინაურდა. იგი მოიას მოწოდებას უგებდა, მაგრამ რამდენიმე შეცდომა დაუშვა, გეიმი დათმო და მეტოქეს ანგარიში გაათანაბრებინა, რამაც იგი ააღელვა და ჩოგანი კორტს დაახეთქა. საყოველთაო აზრით, პირტიტველა ამერიკელი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ უნდა ყოფილიყო, რასაც გაშოცდილი ესპანელი უთუოდ გამოიყენებდა, თუმც პირიქით მოხდა. როდიკმა ჩუმად შეუკურთხა საკუთარ თავს, თავის მოწოდებაზე ორი ეისი ჩაუგდო მეტოქეს, შემდეგაც შესანიშნავად გაისარჯა და მესამე წრის საგზურიც მას დარჩა.

როდიკის მომდევნო მეტოქე არა ყოფილი, არამედ მოქმედი პირველი ჩოგანი, ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი გახლავთ. ასე რომ, ამერიკელს შანსი აქვს, მის მიერ ძლეულ ბობოლათა სოლიდური სია კიდევ ერთი მათგანით შეავსოს. „გუგასთან“ აქამდე არასდროს მითამაშია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მიყვარს უძლიერეს მეტოქეებთან ბრძოლა, აქ სწორედ ამისთვის ვარ“ — ამბობს როდიკი.

რაც შეეხება კუერტენს, მან პირველ წრეში ვიღაც ჰაიტელ აგენორთან ჯახირის შემდეგ მეორე წრეში გაისეირნა, არგენტინელი გასტონ გაუდიო 6:1, 6:4 დაამარცხა. საზოგადოდ სხვა ბობოლათა გავარდნის შემდეგ გუგა ამ ტურნირის ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტად ითვლება. მართალია, მას თიხნარზე თამაში ურჩევნია, მაგრამ ბრაზილელი, რომელსაც ამ სეზონში ხუთი ტურნირის მოგება მოუსწრია, თანდათან ეჩვევა ჰარდზე თამაშს და მონრეალშიც პირველობას გეგმავს.

პირველი წრის დარად, ეს ეტაპიც უხვად იყო სენსაციებით გაჯერებული, მოიას გზას კიდევ ოთხი განთესილი მიჰყვა. კანადელ ქომაგებს ამაოდ ვადაეცვლიფათ ხელები ტაშისცემით და ჩაუწყდათ ხმა ტიმ ჰენმანის გამხნევებით. დედოფალ ელისაბედ მეორის ქვეშევრდომთა შორის ყველაზე მარჯვე ჩოგბურთელმა, მონრეალში მეშვიდე ნომრად განთესილმა ჰენმანმა ვერაფერი მოუხერხა რობოტივით მონოტონურად (თავად თქვა ნამატჩევს) მოთამაშე ესპანელ ალბერტ კოსტას. ბრიტანელზე უფრო იოლად წაიქცა მეხუთე ნომრად განთესილი ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი. მისი ძლევით თავი ისახელა მაროკოელმა ჰიშამ არაზიმ. ჰიუიტის და სხვა ზემოთ ნახსენებთა ბედი გაიზიარეს ტომას იოჰანსონმა და დომინიკ ჰრბატიმ. ასე რომ, პირველ ორ წრეში განთესილთა საყოველთაო დახვრეტის შემდეგ მონრეალს ხუთი ბობოლაღა შემორჩა.

მეორე წრე: გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:1, 6:4; ხუან კარლოს ფერეიროო (4, ესპანეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:3, 6:3; ჰიშამ არაზი (მაროკო) — ლეიტონ ჰიუიტი (5, ავსტრალია) 6:1, 6:4; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ტიმ ჰენმანი (7, ბრიტანეთი) 7:6 (7:3), 4:6, 6:1; პატრიკ რაფტერი (9, ავსტრალია) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:1, 7:6 (7:2); არნო კლემანი (10, საფრანგეთი) — მაკს მირნი (ბელარუსი) 6:1, 6:2; ფერონ გოლმარი (საფრანგეთი) — ტომას იოჰანსონი (13, შვედეთი) 6:4, 6:3; ენდრ როდიკი (აშშ) — კარლოს მოია (14, ესპანეთი) 6:3, 5:7, 7:5; ფან-მაიკლ გეგბილი (16, აშშ) — ნომ ბერი (მაროკო) 6:3, 7:6 (9:7); ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — დომინიკ ჰრბატი (17, სლოვაკეთი) 6:7 (5:7), 7:5, 6:4; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 4:6, 6:4, 6:3; ნიკოლას ესპუდე (საფრანგეთი) — უეინ ბლეკი (ზიმბაბვე) 6:4, 6:7 (6:8), 6:3; ტოდ მარტინი (აშშ) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:4, 1:6, 6:2; ტომი ჰაასი (გერმანია) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 7:6 (8:6), 6:4; ბოდან ულიჰასი (ჩეხეთი) — ანდრეა ვინსიგერა (შვეიცარია) 7:6 (7:3), 6:3; ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 7:5, 6:4

სან დიეგო (აშშ)
„აკურა კლასიკი“
ჰარდი. საპრიზო 750 ათასი $

მონრეალში გაჩაღებული განთესილთა მმუსვრელი ვაჟთა ტურნირისგან განსხვავებით, სანდიეგოური ქალთა „აკურა კლასიკი“ სენსაციათა მოყვარულთ ჯერჯერობით ბევრი ვერაფერით მოაწონებს თავს. ღონიერი დიაცები, რომელთა დიდ ნაწილს მასპინძელი ამერიკელები შეადგენენ, ერთი ხელის გაქნევით გადიან შემდეგ ეტაპზე.

ამა წლის უიმბლდონის დედოფალმა, მომხიბლავმა ვინუს უილიამსმა ერთი საათი და ნახევარი წუთი მოანდომა რუსი ელენა ბოვინას ძლევას — 6:1, 6:2. პრესკონფერენციაზე უფროსმა უილიამსმა ჩვეულად დაიშაქრა პირი და ნაგვემ მეტოქეს ახალგაზრდა გოგონა უნოდა (ისე, საინტერესოა, ვინუსი საკუთარ თავს რომელ ასაკობრივ ჯგუფს მიაკუთვნებს). „გადასარევი ახალგაზრდაა, შესაძლოა, შემდეგ შეხვედრაში მომიგოს. ამ თამაშით ის სხვა ჩოგბურთელებს ავჯობებდა“ — უთქვამს ვინუსს.

შავ ვენერას არ ჩამორჩნენ მასზე არანკლებ ჯანიანი თანამემამულეები — ლინდსი დევენპორტი და ჯენიფერ კაპრიატი. გავარდნილთა შორის კი გასულ კვირას კალიფორნიაშივე, კერძოდ სტენფორდში გამართული ტურნირის მომგები, ბელგიელი კიმ კლაისტერსი უნდა ვახსენოთ.

მეორე წრე: ვინუს უილიამსი (2, აშშ) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:1, 6:2; ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:1, 2:0; ლინდსი დევენპორტი (4, აშშ) — სანდრა კასიკი (აშშ) 6:3, 6:3; აი სუგიამა (იაპონია) — კიმ კლაისტერსი (5, ბელგია) 6:3, 6:3; ელენა დეხენტიევა (8, რუსეთი) — მარლინ ვაინგარტნერი (გერმანია) 6:3, 6:3; ჯენა შონესი (11, აშშ) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 6:7 (4:7), 6:2, 6:1; დაჯა ბედანოვა (ჩეხეთი) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (13, ესპანეთი) 6:1, 6:4; ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) — ემი ფრეზერი (14, აშშ) 6:1, 5:7, 6:4; ელენა დეკანოვა (15, იუგოსლავია) — იანა კანდარი (გერმანია) 7:6 (7:1), 7:5

ბაზელი. „პრეკონ ოუფენი“
თიხნარი. საპრიზო 140 ათასი $

მეორე წრე: მერტა არნი (გერმანია) — მაგუი სერნა (2, ესპანეთი) 6:3, 6:0; მარტინა მიულერი (გერმანია) — ფრანჩესკა შაკონი (4, საფრანგეთი) 6:2, 6:4; ბიანკა ლამადე (გერმანია) — მარიანა დიას-ოლივა (5, ესპანეთი) 7:5, 6:2; მარი-გაიანე მიძალიანი (შვეიცარია) — როსანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:4, 6:2.

ივანე კობიაჯვილი

ვინუს უილიამსი

პრივალოლანი



მაიკ ტაისონი

ბიგ ბემარ სიტი კალიფორნიაშია, სადაც ცხოვრობს მავანი 35 წლის ქალბატონი, რომელიც მსოფლიოს ყოფილ მძიმეწონოსან ჩემპიონს, უპოპულარულეს მაიკ ტაისონს სექსუალური აგრესიის გამო უჩივის. ამ ამბავთან დაკავშირებით სან ბერნარდინოს რეგიონის შერიფმა მოკრივე დაკითხვაზე დაიბარა.

შერიფი სამსახურის პრესმდივანმა, სინდი ბივერსმა განაცხადა: „გამოძიება მისტერ მაიკ ტაისონს გაესაუბრება. ჩვენ მას უკვე დავუკავშირდით“.

ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობი ქალბატონის საჩივარი პოლიციაში 17 ივლისსაა შეტანილი. ქალბატონის ფსიქიკურ მდგომარეობაზეც არაფერია ცნობილი.

ტაისონის ვექილმა დეროუ სოლმა, ბუნებრივია, კომენტარი არ დააგვიანა: „რა მიხვედრა იმას უნდა, რომ ბრალდება შეთითხნილია. იმედი გვაქვს, გამომძიებლები გულდასმით შეისწავლიან ყველაფერს და ტაისონს ცილისწამებისგან იხსნიან“.

დეროუ სოლმა დაადასტურა, რომ ტაისონმა საწვრთნელი ბანაკი ბიგ ბეარიდან ფენიქსის „მედისონ დარბაზში“ გადაიტანა.

მოგეხსენებათ, ნიუიორკელი მებრძოლი რინგს სექტემბერში უნდა დაუბრუნდეს. ჯერჯერობით მეტოქე და ბრძოლის ადგილი შერჩეული არ არის, თუმცა მოსალოდნელია, რომ მოწინააღმდეგედ დანიელი ბრაიან ნილსენი დასახელონ.

დონ კინგის ჩინური გეგმები ჩაიშალა, ყოველ შემთხვევაში, დროებით. ახლა ამბობენ, რომ მძიმე წონაში WBA-ს ჩემპიონის, ჯო რუისის და ევანდერ ჰოლიფილდის ბრძოლა 6 ოქტომბერს გაიმართება. „დონ კინგ პროდაქშენის“ პაბლიკ რილეიშენის დირექტორის ალან ჰუპერის განცხადებით, ბრძოლის ადგილად კვლავ პეკინი რჩება.

„6 ოქტომბერი ის თარიღია, რომელსაც ჩვენ პირობითად სამუშაო თარიღს ვუწოდებთ“ — უთხრა ჰუპერმა სააგენტო როიტერს. მოგეხსენებათ, რუისისა და ჰოლიფილდის ჩხუბი 5 აგვისტოს უნდა გამართულიყო, მაგრამ რუისის კისრის ტკივილის გამო ჩაიშალა.

ხოლო თარიღი რომ მართლაც პირობითია, იქიდან ჩანს, რომ ბრძოლის ტელეტრანსლაციის შესახებ ოფიციალურად არაფერია დადგენილი.

ასე არავინ ვარაუდობდა: რამდენიმე თვის წინ WBA-ს ჩემპიონების, კლარენს ადამსისა და პოლ აიალას დაგეგმილ ბრძოლას „სუპერბრძოლაზე“ ოდნავ დაბალ საფეხურად მიიჩნევდნენ. ტელეკომპანია იესპიენის წამყვანმა, „პარასკევ ღამის ბრძოლათა“ შოუმენმა მაქს კელერმანმა (კრივში კი ცნობილი ჟურნალისტის ნათქვამი ბეჭედდასმულ ჭეშმარიტებად ითვლება) ხალხს სულაც ჯადოსნური დაპირისპირების ნახვისკენ მოუწოდა, მაგრამ მას მერე მოვლენებმა სხვა მიმართულება მიიღო.

კერძოდ, აიალას ამასწინათ, ერთობ უცნობ უგო დინენოსთან მოუხდა გაჯიბრება და... ძლივს, ქულებით გაიმარჯვა. რა ხდება? ნუთუ, WBA-მ ყველაფერი ძალად გააკეთა, რათა ადამსს მთავარ კონკურენტად შერაცხულ მეტოქესთან აღარ ეჩხუბა?

ასეა თუ ისე, ფაქტია: აიალას ბრძოლა ის აღარ იქნება, რაც აღრინდელი ვარაუდით უნდა ყოფილიყო. თავად აიალა კი ამბობს: „ჩვენი ბრძოლა დიდი ბრძოლა იქნება — ჩემპიონი ჩემპიონის წინააღმდეგ მართლაც დიდებული ბანაკი მყავს და სერიოზულად ვემზადები“.

აიალა ადამსის წინააღმდეგ რინგზე ასეთი შედეგით გავა: 32-1 (12), რაც იმას ნიშნავს, რომ 33 ბრძოლიდან 32 მოგებული აქვს, აქედან 12 ნოკაუტით, ხოლო ერთხელ მარცხი უწვნევია. მან სამჯერ დაიცვა ტიტული, ხოლო ამ სამიდან ერთი, ჯონი ტაპიას წინააღმდეგ, 1999 წლის საუკეთესო ჩხუბადაც აღიარეს.

„სამჯერ დავიცავი ტიტული და სამივეჯერ მეტოქედ რეიტინგით ხუთი საუკეთესოდან ერთ-ერთი მყავდა. გარდა ამისა, მინდა გაგახსენოთ რემატჩი ტაპიასთან, რომელშიც ჩემთვის ბევრი ფული სულაც არ გადაუხდიათ, უბრალოდ სპორტული პრინციპის გამო ვიჩხუბე. ახლაც მზად ვარ ყველაფერი გავიღო. ბოლოსდაბოლოს, მეტოქეებს სჭირდებათ ჩემთან ბრძოლა“.

აბერ უკვე 20 წელიწადია, ლას ვეგასს სამყაროს საკრივო ცენტრად მოიხსენიებენ, მაგრამ, ჰასიმ რაჰმანისა და ლენოქს ლუისის რემატჩს, როგორც ჩანს, ჰონკონგი უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ ლაპარაკია მძიმე წონაში უდავო ჩემპიონის ტიტულზე, რომელიც ლუისს ფრიად საშუალო ნიჭის მოკრივედ შერაცხულმა რაჰმანმა, სამხრეთ აფრიკაში მოულოდნელი ნოკაუტით წაართვა.

დონ კინგი ამბობს, რომ ჰონკონგში მოღვაწე ცნობილ ინვესტორთა ჯგუფი მზადაა ამ ბრძოლის მოსაწყობად უამრავი დოლარი გაიღოს. ამბობენ იმასაც, რომ რემატჩი სავარაუდოდ 10 ნოემბერს გაიმართება.

ტუტა სიხარულიძე



REUTERS მალიორკადან

სამეფო ცურვა

აფრობნობის დიდი მოყვარული ესპანეთის სამეფო ოჯახი ახლა კუნძულ მალიორკაზეა და სამეფო თასის მეოცე, საიუბილეო გათამაშებისთვის ემზადება. მალიორკაზე თავი მოუყრიათ მოყვარულ იახტსმენებს, მათ შორის კი ესპანეთისავ უფლისწულ ფელიპეს.

REUTERS ნიუ იორკიდან

თამაში თუ სპრინგსტინი

ლამის ნახევარ „იანკი სტადიუმს“, ბეისბოლის მრავალ მოყვარულს მინდვრისთვის ზურგი უქცევია და შემოხვევია განთქმულ ამერიკელ მომღერალს ბრუს სპრინგსტინს, რომელსაც არავისთვის უთქვამს უარი ხელის ჩამორთმევასა და ავტოგრაფზე. ამასობაში კი „ნიუ იორკ იანკიზს“ „ტექსას რეინჯერსი“ 9:7 დაუმარცხებია.

დღეს ედმონტონში

დღეს კანადის ქალაქ ედმონტონში დიდი ამბავია. მძლეოსნობაში მსოფლიოს მერვე ჩემპიონატი იხსნება. სპრინტის ამერიკელი ვარსკვლავი მორის გრინი ტახტზე გაგორებულა და მასაჟისტს მინდობია. კუნთების მზადყოფნა ხომ პირველი საქმეა სპრინტერისთვის.

REUTERS ედმონტონიდან

REUTERS ტორონტოდან

ოთხმოცდარვა მილიონი

მთელ რვა წელიწადს გაატარებს ნბა-ს კანადურ გუნდში, „ტორონტო რეპტორზში“ 24 წლის სუპერკალათბურთელი ვინს კარტერი, რომელიც ამ ერთგულების აღსანიშნავად თუ ეხვევა კლუბის სიმბოლოს, კეთილ რეპტორს. ისე, ერთგულებაც არის და ერთგულებაც. ამ რვა წელიწადში ვინსი 88 მილიონს მიიღებს.

ლენსი ღამის შოუში

„ტურ დე ფრანსის“ ზედიზედ მესამედ მომგები ამერიკელი ველოსიპედისტი ლენს არმსტრონგი უკვე სამშობლოშია და ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტელეშოუში ჰყვება თავისი გამარჯვების ამბავს. ეს გადაცემა სი-ბი-ესის არხზე გადის და „დევიდ ლიტერმანის ღამის შოუ ჰქვია“. ჰო, მარცხნივ თავად არმსტრონგია, მარჯვნივ კი ლიტერმანი.

REUTERS ნიუ იორკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტო-რეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge